საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოლოდროინდელი სიფცვაა, ფიცილებით და ჯოხებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი. 2016 წ. №185 (80756), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

პრემიერ-მინისტრის მიმართვა საქართველოს მოსახლეობას

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი არჩევნებთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებს მიმართავს:

ჩემო მეგობრებო! საქართველოში დადგა არჩევნების დრო, მნიშვნელოვანი მოვლენა ყველა დამოუკიდებელი ქვეყნის ცხოვრებაში. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა მივიღოთ საკუთარი გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებათა ერთობლიობაზე იქნება დამოკიდებული, თუ რა მიმართულებით განვითარდება საქართველო უახლოესი ოთხი წლის განმავლობაში. სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ 8 ოქტომბერს აუცილებლად მივიდეთ არჩევნებზე, ხმა მივცეთ ჩემი ქვეყნის თავისუფლებას და კეთილდღეობას. ყველამ ერთად ვიტვირთოთ პასუხისმგებლობა მომავალზე.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენ ერთად ბევრი განსაცდელი გამოვიარეთ. ვსწავლობდით თავისუფლებას და დემოკრატიას, საფუძველი ჩავუყარეთ სახელმწიფოს, რომელიც ადამიანზე ზრუნავს და იცავს მას. ბევრი რამ შევძელით ერთად. განვლილი 4 წლის განმავლობაში შევქმენით განვითარებისთვის აუცილებელი თავისუფალი გარემო. მომზადდა პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძველი, რასაც უნდა დაეფუძნოს დიდი ეკონომიკური აღმავლობა, მაგრამ საქართველოში, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი გაჭირვებული ადამიანია, რომლებსაც არ აქვთ სამუშაო და რომლებიც იმსახურებენ ღირსეულ ცხოვრებას. ისინი მოკლებული არიან შესაძლებლობას, სრულად შეიგრძნონ თავისუფლების სიკეთე. ქვეყნის ეკონომიკური აღმასვლა და სიღარიბის დაძლევა არ არის მხოლოდ ცალკეული ადამიანების და ოჯახების გამოწვევა. ეს მთელი ქვეყნის ამოცანას წარმოადგენს და მისი გადაწყვეტა თითოეული ჩვენგანის სოლიდარულ ძალისხმევას საჭიროებს, სწორედ ამიტომ, როცა ქვეყნის სწრაფი განვითარების აუცილებლობაზე ვსაუბრობ, ეს ჩემთვის ეკონომიკური პროგრამის ნაწილს, ან წინაარჩევნო დაპირებას კი არ წარმოადგენს, ეს ჩემი ცხოვრების უმთავრესი მიზანი და ოცნებაა. მე გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებ, რომ მომდევნო ოთხი წელი იყოს ჩვენს უახლეს ისტორიაში ყველაზე დინამიკური განვითარების პერიოდი. ჩვენ ღმერთმა ბევრი სიმდიდრე გვიბოძა — მდებარეობა, ულამაზესი ბუნება, მთა, ზღვა, წყალი, წიაღისეული და რაც მთავარია, ნიჭიერი და შრომისმოყვარე ხალხი, რომელსაც აქვს ჭირში თმენის და ქვეყნის აღორძინების მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება, დიდი კულტურა, ანუ ყველა გამოცდილება გვაქვს, რომ ქვეყანამ წარმატებას მიაღწიოს, ოღონდ გვჭირდება ჩვენი შესაძლებლობების სწორად გამოყენება, საზოგადოების გაერთიანება და თითოეული ჩვენგანის ძალისხმევის მიმართვა ერთიანი და ძლიერი საქართველოს ასაშენებლად. მე მჯერა, რომ ჩვენ ყველა ერთად აუცილებლად, გავიმარჯვებთ. ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს, რადგან ჩვენ ერთად ვართ ქვეყანა...

კახა კუჭავას ფანტაზია

ზოფხი თოში

რეალობად იქცა

6–7

4

პოლიტიკური სტრიპტიზი საქართველოში

წერილი ფეოფილეს

სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მომავალი 4 წელი „ნაცმოძრაობის“ საბოტაჟისა და ნგრევის გარეშე!

SOS – ჭკუით, ქართველებო!

რაულ საჯიმბა:

საქართველო მზაკვრულად შემოიჭრა აფხაზეთში?

8

რომის პაპი ფრანცისკე I: საქართველოს პატრიარქი ღვთისკაცია

ბაქოში ვიზიტის შემდეგ რომის პაპი იტალიაში გაემგზავრა. ბორტზე სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებთან ერთად მოამბის გადამღები ჯგუფიც იმყოფებოდა. ბაქოსა და თბილისში ვიზიტის შთაბეჭდილებები რომის პაპმა მედიის წარმომადგენლებს გაუზიარა. საქართველოსთან დაკავშირებით რომის პაპმა თქვა:

„მე საქართველოში ორი სიურპრიზი დამხვდა, ერთი თავად საქართველო, მე ვერასოდეს წარმოვიდგენდი ქრისტიანული რწმენით სავსე ასეთ ადგილს, ჩემი მეორე აღმოჩენა საქართველოს პატრიარქი იყო, ადამიანი უდიდესი და ძალიან ღრმა რწმენით, ის არის ღვთისკაცი, მე შემძრა პატრიარქის გაცნობამ და ეს გრძნობა მქონდა მასთან ყოველი შეხვედრისას. დავტოვე გრძნობით, რომ მე ვიპოვე ნამდვილი ღვთისკაცი.

რაც შეეხება საკითხებს, რაც გვაშორებს და გვაერთიანებს, ვფიქრობ, რომ ჩემი საქმე არ არის დოქტრინებზე საუბარი, მოდით, დაუტოვეთ ეს თეოლოგებს განსახილველად, ეს თეოლოგებმა კარგად იციან და ორივე მხრიდან უნდა შეისწავლონ. რაც ჩვენ უნდა გავაკეთოთ, ეს არის ერთმანეთისთვის ლოცვა და ერთობლივად ბევრი რამის გაკეთება.

ამდენი ღარიბი ადამიანია, მოდით, ერთად გავაკეთოთ რამე ღარიბი ხალხისთვის, ემიგრანტებისთვის, მათთვის, ვისაც ბევრი პრობლემა აქვს, დავეხმაროთ ერთად, ეს არის ეკუმენიზმის გზა, ეს არის მხოლოდ დოქტრინის გზა, გზა, რომელიც გრძელია, მოდით, უკვე ერთად სიარულით დავიწყოთ, სურვილით და ნებით, ამის გაკეთებას შევძლებთ, ამის პარალელურად თეოლოგები გააგრძელებენ შესწავლას და ერთმანეთთან საუბარს. საქართველო არის არაჩვეულებრივი, ხალხი არა მარტო ქრისტიანული, არამედ რწმენით აღსავსე მთელი არსით“, — განაცხადა რომის პაპმა ფრანცისკემ.

ტურიზმის განვითარების ფონდი

„საქართველოს თანაინვესტირების ფონდი“ ტურიზმის განვითარების ფონდს აფუძნებს, რომელმაც თბილისში, გურიაში, აჭარასა და სამეგრელოში 680 მილიონი დოლარის ღირებულების, 8 მასშტაბური პროექტი უნდა განახორციელოს.

ტურიზმის განვითარების ფონდის პრეზენტაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი დაესწრო. გიორგი კვირიკაშვილის განმარტებით, ფონდის მიზანია ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ტურიზმი აქამდე ნაკლებად აქტუალური და პრიორიტეტული იყო.

„საქართველოს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი ამ დარგის წინსვლისთვის და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ გავხდეთ ერთ-ერთი გამორჩეულად საინტერესო ქვეყანა მსოფლიოს ტურისტულ რუკაზე. ალბათ, ყველა ამჩნევს, რომ ბოლო პერიოდში ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად არის გაზრდილი, რაზეც მოწმობს უახლესი სტატისტიკური მონაცემები. ეს იმას ნიშნავს, რომ დღითი დღე იზრდება ცნობადობა და ინტერესი საქართველოს მიმართ. განვითარების ფონდის დაარსება ძალიან დროული ნაბიჯია. ფონდის მიმართულებები და კრიტერიუმები ზუსტად ისაა, რაც სჭირდება ქვეყანას დღეს და უზრუნველყოფს ტურიზმის სტაბილურ განვითარებას მომავალში. სწორედ ეს ფონდი ახორციელებს 8 უნიკალურ მსოფლიო დონის მრავალფუნქციურ სასტუმრო-კომპლექსს, საერთო ღირებულებით 680 მილიონი დოლარი. აქედან უკვე ინვესტირებულია 259 მილიონი ლარი“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ფონდის მასშტაბურობასა და უმაღლეს სტანდარტებზე მეტყველებს საერთაშორისო აღიარება, რომელიც მისმა სამმა პროექტმა უკვე მოიპოვა „მარიოტის“ საერთაშორისო ქსელის მხრიდან. გიორგი კვირიკაშვილმა თავისუფლების მოედანთან, სოლოლაკის ქედზე და თაბორის მთაზე მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსების პროექტზეც ისაუბრა.

„თანაინვესტირების ფონდის ინიციატივით, თბილისში უკვე შენდება უმაღლესი კლასის, არქიტექტურულად უპრეცედენტო სამსაფეხუროვანი კომპლექსი, რომელიც მოიცავს მრავალფუნქციურ კომპლექსებს თავისუფლების მოედანთან, სოლოლაკის ქედზე და თაბორის მთაზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს კომპლექსები და მათი კავშირი ეკოლოგიურად სუფთა საბაგირო გზით, ქმნიან იმ ახალ სავიზიტო ბარათს, რომელიც დედაქალაქის ტურიზმის განვითარების და ხარისხის ხვალინდელი დღე გახლავთ. თაბორის პროექტი, ეს არის 400 000 კვ.მ „ახალი ფილტვები“ ქალაქისთვის (რეკრეაციული ზონა და გოლფის მოედნები). ასეთი ადგილი თბილისში არ არსებობს. შეიქმნება ტენდენცია სხვა მსგავსი პროექტების განვითარებისთვის. ამ კომპლექსების მშენებლობების პროცესში მთლიანობაში დასაქმდება 20 ათასზე მეტი, ხოლო კომპლექსების ამოქმედების შემდეგ პირდაპირ მუდმივად დასაქმდება დაახლოებით 2 500 ადამიანი,“ — აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, სასტუმროების მართვის კომპანიას ასევე უმნიშვნელოვანესი ფუნქცია ეკისრება რეგიონალური ტრენინგ-ცენტრების შექმნის კუთხით. კომპანია გადაამზადებს ადგილობრივ მოსახლეობას, აამაღლებს მათი კვალიფიკაციის დონეს, განავითარებს მომსახურების ინდუსტრიას რეგიონებში. პრემიერ-მინისტრის განმარტებით, ტურიზმის განვითარების ფონდის მიმართულებები სრულად შეესაბამება მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის სივრცითი მოწყობის გეგმას.

საქართველოს თანაინვესტირების ფონდის“ მიერ დაფუძნებულ ტურიზმის განვითარების ფონდს ირაკლი ქარსელაძე უხელმძღვანელებს. ფონდის მიზანია ქვეყანაში ტურისტული ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული პროგრამების განხორციელება ტურიზმში ჩართული კომპანიების მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც დაგეგმილია რეგიონული ტრენინგცენტრების შექმნა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში და ტურიზმის სფეროში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის გადამზადება. ფონდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მისიაა ტურისტული მიზიდულობის ახალი ცენტრების შექმნა და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკურად ნაკლებად აქტიურ რეგიონებში.

„გარეკილ I“-მა სულ გარეკა!

საქართველოს ექს-პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ნაციონალური მოძრაობა არჩევნებში დამაჯერებლად მოიგებს, რაზეც სუს-ში და პოლიციაშიც უკვე ჩურჩულებენ.

ამის შესახებ სააკაშვილმა Facebook Live-ის დროს, იმ კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომლის მიხედვით, როგორც აპირებთ თქვენი იდეების განხორციელებას, თუ „რუსთავი-2“-ის მიერ დაკვეთილი კვლევების საფუძველზე 30-32%-ს აიღებთ ენმ-იც და „ქართული ოცნებაც“.

„დარწმუნებული ვარ, ბევრად მეტს ავიღებთ. აი, ნახავთ თქვენ თუ არა. და დარწმუნებული ვარ, რომ ვიმარჯვებთ. ხალხო, დააკვირდით ივანიშვილის სახეს. დააკვირდით, რა პანიკაშია. ყველანი ახლა სუს-ში, პოლიციაში იძახიან, ჩურჩულებენ ერთმანეთში, რომ ნაცები იმარჯვებენო. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გვესმოდეს, რომ ჩვენ ვიმარჯვებთ, ჩვენ ვიმარჯვებთ დამაჯერებლად, ჩვენ გვექნება საშუალება მთავრობა დავაკომპლექტოთ ჩვენი ხალხის ნება-სურვილის გათვალისწინებით და წავიყვანოთ ქვეყანა წინ და აღარასოდეს მოვიხედოთ უკან, არ ვიფიქროთ სხვა თემებზე, გავაკეთოთ ის, რაც ამდენი წელი იყო შეჩერებული. ჩვენ აუცილებლად ამას გავაკეთებთ. რამდენიმე დღე რჩება ჩემი და თქვენი ხელახლა შეხვედრამდე აქაურ „ლაივში“ კი არა, ნამდვილ „ლაივში“. რამდენიმე დღე რჩება საქართველოს ისტორიის ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპის დასაწყებამდე, რამდენიმე დღე რჩება საქართველოს სამშვიდობოზე გაყვანამდე. ამიტომ ამ რამდენიმე დღეს ზედმეტად ნუ ჩავიხვევთ რაღაცა შიშებს და რაღაცებს, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. მომავალ შეხვედრამდე საქართველოში“, — განაცხადა სააკაშვილმა.

ამასთან, სააკაშვილმა მომავალი მთავრობის დაკომპლექტებაზეც ისაუბრა და Facebook მომხმარებლის კითხვასაც უპასუხა, რომლის მიხედვით, „თქვენი გამარჯვების შემთხვევაში თუ დაბრუნდებიან ძმები ახალაიები, ვის გამოც დამარცხდით?“

„მარტო ამის გამო არ დავმარცხდით, მაგრამ მე მიჩანია, რომ ახალ მთავრობაში პრაქტიკულად არც ერთი ძველი თანამდებობის პირი თავის კაბინეტში არ უნდა დაბრუნდეს. ეს არის ჩემი პრინციპული პოზიცია. რაც შეეხება ძალოვან ბლოკს, მე ვთქვი, რომ კარგი მინისტრები იქნებოდნენ ხატია დეკანოიძე, ეკა ზღულაძე. რაც მეტი ქალები გვეყოლება ძალოვან ბლოკში ყველა თანამდებობაზე, იქნებოდა კარგი. ქალი არის ჰუმანური, ადამიანური, დედა , მშობელი, სულ სხვა ფსიქოლოგიის მატარებელი ადამიანია“, — აღნიშნა სააკშვილმა.

* * *

საქართველოს ექს-პრეზიდენტი მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს დაშვებულ მთავარ შეცდომად მიიჩნევს იმას, რომ დროზე არ იქნა დაწყებული რეფორმების მეორე ტალღა.

„ჩემს მთავარ შეცდომად მივიჩნევთ, რომ რეფორმების მეორე ტალღა დროზე არ დავიწყეთ. ჩვენმა პირველმა რეფორმებმა 2007 წლამდე, მოგვცა ძალიან მაგარი შედეგი 2009,2010,2011, 2012 წლებში, მაგრამ 2009-ში, 2010-ში უკვე უნდა დაგვეწყო მეორე ტალღა. ეს უნდა ყოფილიყო უფრო ღრმა სასამართლო რეფორმა, სერიოზული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაცია, სრული დეკრიმინალიზაცია ბიზნესთან ურთიერთობის , სრული ჩამოშორება სახელმწიფო ორგანოების ბიზნესთან რამე შეხებაზე, ეს უნდა ყოფილიყო განათლების ბევრად უფრო ფუნდამენტური რეფორმა. რეფორმების მეორე ტალღა დროზე არ დავიწყეთ. ჯობს გვიან, ვიდრე არასდროს, ჩვენ ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ შემდგომ ვადაში,და შეიძლება იმის შემდგომ ვადაშიც. და მე ამაში ვაპირებ, რა თქმა უნდა, აქტიური მონაწილეობის მიღებას, თუ თქვენი სურვილი ასეთი იქნება“, — აღნიშნა ექს-პრეზიდენტმა.

◎ საერთაშორისო ფორუმი

ედვარდ ლუკასი:

საქართველოში ბევრი კარგი რამ ხდება

„დასავლეთის გადარჩენა“ — ასე ერქვა ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო ფორუმს, სადაც აღმოსავლეთ ევროპის ლიდერებმა და ამერიკელმა ანალიტიკოსებმა ევროპის მომავალზე, რუსეთის იმპერიალიზმზე და დასავლეთის როლზე იმსჯელეს.

„ჩვენ ყველანი ვიბრძვით, რათა გვქონდეს შეცდომების დაშვების უფლება“, - ასე უპასუხა ჩვენს კითხვას, თუ „რისთვის იბრძვის დღეს დასავლეთი“, ცნობილმა ანალიტიკოსმა და ბრიტანული ჟურნალის „ეკონომისტის“ რედაქტორმა ედვარდ ლუკასმა.

ლუკასის განცხადებას ამერიკული რადიოსადგური „Radio Voice of America“ ციტირებს:

„არ არსებობს ეკონომიკური თუ პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტურად ყველაზე მაღლა დგას. მაგრამ მიმაჩნია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანებს შეეძლოთ აირჩიონ თუ როგორი მთავრობა სურთ მათ, ასევე მთავრობას უნდა შეეძლოს გადაწყვიტოს, რა ტიპის უსაფრთხოების ალიანსთან თანამშრომლობა სურს. ქვეყანას უნდა შეეძლოს თვითონ გადაწყვიტოს — უნდა თუ არა რომელიმე ალიანსის, მაგალითად, ნატოს წევრობა“, — ამბობს ედვარდ ლუკასი.

მისი აზრით, რუსეთი ცდილობს შეაჩეროს საქართველოს ევროატლანტიკური სწრაფვები, „მაგრამ, ამის მიუხედავად, საქართველოში ბევრი კარგი რამ ხდება. პროგრესი უფრო ნელია, ვიდრე მე ვისურვებდი, მაგრამ არავის

შეუჩერებია საქართველო იყოს უფრო პლურალისტული, უფრო ტოლერანტული, უფრო დემოკრატიული, უფრო ღია. ბევრი რამ თავად საქართველოზეა დამოკიდებული“.

ედვარდ ლუკასის აზრით, დასავლეთმა ვერ გააცნობიერა, რომ რუსეთი ისევ იმპერიაა. იგი ამბობს, რომ ქართველებს, უკრაინელებს და მოლდოველებს ისევ უწევთ საფასურის გადახდა დასავლეთის გეოპოლიტიკური განათლებისთვის.

„რისთვის იბრძვის დასავლეთი?“ — ამ კითხვით „Radio Voice of America“-მ დემოკრატიის ეროვნული ფონდის ვიცე-პრეზიდენტ ქრისტოფერ უოკერსაც მიმართა.

„დღეს ღირებულებებისთვის ბრძოლა არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს უწევთ, არამედ ამ ბრძოლას ვხედავთ მთელს ევროპაში ისევე, როგორც შეერთებულ შტატებში. საბოლოო ჯამში ეს ბრძოლა არის იმაზე, თუ როგორ სამყაროში გვინდა ვიცხოვროთ“.

ქრისტოფერ უოკერისთვის საქართველო იმის მაგალითია, თუ როგორ შეძლო ქვეყანამ „ურთულესი გამოწვევების მიუხედავად, წარმატებული ყოფილიყო. ყველა დემოკრატიულმა სახელმწიფომ უნდა დააფასოს საქართველოს მცდელობა და მიიღოს მისი ევროატლანტიკური ინსტიტუტებისადმი მისწრაფებები. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მიერ გაწეული მძიმე შრომა ძლიერმა დემოკრატიებმა დააფასონ“.

ქრისტოფერ უოკერის აზრით, უკანასკნელი 25 დაძაბული წლის განმავლობაში საქართველომ ბევრ პროგრესს მიაღწია, ხოლო ერთ-ერთ მთავარ წარმატებად მას მშვიდობიანი და კონკურენტული არჩევნების ჩატარება მიაჩნია.

სამხარაული და ჯეჯელავა ახმეტელ და თელაველ პედაგოგებთან

„ძართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი გელა სამხარაული და საქართველოს განათლების მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების პედაგოგებს შეხვდნენ.

ალექსანდრე ჯეჯელავამ მასწავლებლებს პროფესიული დღე მიულოცა და ისაუბრა იმ სიახლეებზე, რასაც განათლების სისტემის რეფორმა ითვალისწინებს.

„ჩვენი მთავარი ამოცანაა, დავუბრუნოთ პედაგოგის პროფესიას დაკარგული ღირსება და პრესტიჟი.

პროფესიული განვითარების სქემას უნდა ჰქონდეს არა სადამსჯელო ფუნქცია, არამედ უნდა ემსახურებოდეს პედაგოგთა ავტორიტეტის აღდგენასა და მოტივაციას, რომ მეტად იმუშაონ საკუთარ პროფესიულ უნარებზე და კვალიფიკაციის ამაღლებაზე“, — აღნიშნა განათლების მინისტრმა.

საუბარი შეეხო, აგრეთვე, პედაგოგათა ანაზღაურების სისტემას, დაწყებითი განათლების საფეხურზე ნულოვანი კლასისა და გახანგრძლივებული სწავლების შემოღებას, პედაგოგთა ასაკობრივ ზღვარს. ითქვა, რომ მასწავლებლის სკოლაში მუშაობა ასაკით არ უნდა განისაზღვროს, მთავარი კრიტერიუმი პედაგოგის კვალიფიკაცია უნდა იყოს.

ივანიშვილის „დანაშაული“,



ნუ გაგაკვირვებთ და ნუ დაგაბნევთ ეს სათაური – დღეს საქართველოში დაახლოებით ისეთი ვითარებაა, გალაკტიონი ასე რომ აღწერდა: „ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის“...

მთავარია, ვის ვეკითხებით – ნაცმოძრაობასა და მის ქვეშევრდომთ („ცრუსთავორი“, ნათელაშვილი...), თუ „ქართულ ოცნებასა“ და მის მხარდამჭერებს...

ვიყოთ სამართლიანნი და „ქართულ ოცნებას“ მთლად ამას ნუ დავაბრალებთ – თითქოს, გვეუბნებოდეს, ქვეყანაში ყველაფერი კარგად არისო. უბრალოდ, იმას ამბობს, რომ ოთხ წელიწადში ბევრი რამის გაკეთება მოახერხეს.

მართლაც რომ მოახერხეს – იმ პირობებში, როცა სააკაშვილი ჯერ კიდევ პრეზიდენტობდა, უგულავა ისევ მერობდა, მერაბიშვილი მიტინგებს მართავდა, კუბლაშვილი კვლავინდებურად „მართლ სჯიდა“, პაპუაშვილი (აგერ, აქამომდე), ნაცებისაგან გაუპატიურებულ კონსტიტუციას „იცავდა“; ბარამიძე და თარგამაძე კვლავაც სამართლიანობისთვის იბრძოდნენ, ხოლო გოგორიშვილი და მაჭავარიანი – იდეალური საარჩევნო კანონმდებლობის შესაქმნელად...

ეს – ქვეყნის შიგნით, ახლა გარეთაც გავიხედოთ – რამდენი „უანგარო“ ლობისტი შემორჩათ ნაცებს?!

კიდევ კარგად გაართვეს თავი!

მაგრამ გულუხვ დაპირებებს რა ვუყოთო, – მეტყვიან ოპონენტები.

ო, ეს დაპირებები!

ამიტომაც მძაგს არჩევნები!

დედამიწის ზურგზე ჯერ არ ყოფილა ხელისუფლება, წინასაარჩევნო დაპირებები რომ შეესრულებინოს!

ეს ის შემთხვევაა, როცა ვერც სხვის შეცდომებზე სწავლობენ და ვერც საკუთარზე.

ოღონდ, ერთმანეთისგან ესეც უნდა გავარჩიოთ - წინასაარჩევნო ტყუილი და გულწრფელი რწმენა იმისა, რომ დაპირებათა შესრულება შესაძლებელია.

მომკალით და ბიძინა ივანიშვილი „მეორე რიგში“ მეგულება.

არ შეიძლება, მისი მეხოტბე ვიყო.

მისგან არასოდეს არაფერი მიმიღია – ისიც კი, რაც მეკუთვნოდა და უნდა მიმეღო.

ამის მიუხედავად, ვერავინ დამარწმუნებს, რომ დანაპირების რეალურობა ღრმად არ სჯეროდა.

ბიძინა ივანიშვილზე ნაკლებად არ მიყვარს ჩემი სამშობლო (სიცოცხლეზე მეტადაც!), მაგრამ მაინც ვთვლი: დღეს საქართველოში ბიძინა ივანიშვილზე მეტად არავის უნდა, რომ ქვეყანა წინ მიდიოდეს და ქართველი კაცი კარგად ცხოვრობდეს.

მან ამისთვის თავი გადადო.

ძალიან გარისკა.

და „ნაციონალური“ ჯოჯოხეთისგან გვიხსნა.

ისეთი ურჩხული დაამარცხა, რომ ქვეყნის ფეხზე დაყენებაც ადვილ საქმედ წარმოიდგინა.

კი, შეცდომებიც დაუშვა (ამჟამინდელ საარჩევნო სიაშიც, განსაკუთრებით პროპორციულში, ბევრი შეცდომაა), მაგრამ დანაშაული არ ჩაუდენია.

შეცდომასა და დანაშაულს კი „შუა უზის დიდი ზღვარი“...

დღეს საქართველოში:

აღარავის დევნიან განსხვავებული აზრისთვის;

„ნებაყოფლობით“ აღარავის ართმევენ კერძო საკუთრებას;

აღარავის იჭერენ ტყუილუბრალოდ;

აღარავის აწამებენ და აუპატიურებენ ციხეებში;

ცოტაა?!

გავაგრძელოთ?!

აი, რატომ უნდა მივიდეთ არჩევნებზე და ხმა მივცეთ არა „ქართულ ოცნებას“, არამედ ქართულ ოცნებას.

და თუ აღმოვაჩენთ, რომ „ქართული ოცნება“ დაემთხვევა ქართულ ოცნებას, ეს არ იქნება ჩემი ბრალი, ეს ნამდვილად ბიძინა ივანიშვილის ბრალი იქნება, თუ გნებავთ, მისი „დანაშაული“...

წავიდეთ არჩევნებზე!

იოსებ ჟუმბურიძე

◎ პოზიცია

მოვუწოდებ ქართველ ემიგრანტებს, სოლიდარობა გამოუცხადონ თანამემამულეებს რუსეთში!

რაც უფრო ახლოვდება საპარლამენტო არჩევნები, მით უფრო ხშირად მეკითხებიან – ხმა ვის მივცეთო? „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ – მე მხოლოდ ის შემიძლია გირჩიოთ, ხმის მიცემა ვისთვის არ შეიძლება.

არ მისცეთ ხმა პარტიებს, რომელთა სიებში თქვენთვის უცნობი, ან უარესი – მთელი საქართველოსთვის სავალალოდ ნაცნობი ადამიანები არიან! 8 ოქტომბერი – ერთადერთი დღეა, როდესაც თქვენ ჯერ კიდევ შეგიძლიათ, რამე გადაწყვიტოთ, ამიტომ ნუ აირჩევთ იმათ, ვინც, იძულებული იქნებით, ოთხი წელი ითმინოთ და არჩინოთ, მომდევნო არჩევნებამდე უმწეოდ იწყევლოთ თავბედი! ახალი პარლამენტი ასევე არ იქნება პროფესიონალებისა და პატრიოტების პარლამენტი – იმიტომ, რომ ასეთები ყველა პარტიის სიებში უმცირესობაა. დანარჩენები იქ ან ჩაწყობით მოხვდნენ, ან კერძო ბიზნესის ფულებით, ანდა ინერციით. ამიტომ პარტიებიდან, საარჩევნო ბლოკებიდან და მაჟორიტარი კანდიდატებიდან შედარებით უკეთესები აირჩიეთ. ზუსტად ამ პრინციპით მე ვირჩევ **„ქართულ ოცნებას“.**

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ქართველ ემიგრანტებს კი მოვუწოდებ, სოლიდარობა გამოუცხადონ თანამემამულეებს რუსეთში, რომლებიც იქ მუდმივად საცხოვრებლად ან დროებით, სამუშაოდ გაემგზავრნენ, მაგრამ საქართველოს მოქალაქეობაზე, სააკაშვილისგან განსხვავებით, უარი არ უთქვამთ! უკვე მერამდენედ არჩევნების დროს მათ ისევ ართმევენ ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ და განუყოფელ უფლებას „ ხმის უფლებას! ნუთუ ისევ „მოღალატეებად“ მიიჩნევენ, რომლებსაც, ვითომდა, საქართველოში „რუსი ოკუპანტების პოლიტიკის“ გატარება აქვთ განზრახული, როგორც სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დროს იყო?! თუმცა მაშინაც კი **რუსეთში ქართული დიასპორის** დიდი ნაწილი ღიად უჭერდა მხარს საქართველოს დამნაშავე, მაგრამ მოქმედ ხელისუფლებას...

ბატონებო, ქვეყნის მბრძანებლებო! იყავით თანმიმდევრულები! **ამ ლოგიკით ნებისმიერი ქართველი ემიგრანტი ან საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს მოქალაქე გავლენის აგენტი და იმ ქვეყნის მთავრობის პოლიტიკის გამტარებელია, რომელშიც იმყოფება და რომელ-ველ მეფეთა ნეშტები, რომლებიც რუსეთში განისვენებენ** და რომლებსაც ქართული წარმოშობის რუსი ბიზნესმენები უვლიან... მინისტრ დუმბაძის კაბინეტის კედელზე ხომ ძველი რუკა კიდია აშშ-ის საელჩოს საწყობიდან, სადაც რუსეთის ნაცვლად – ცარიალი, ნესტისაგან გახუნებული ლაქაა, მაგიდაზე კი – ამერიკის ელჩის ნაჩუქარი წუნდებული კომპასი, რომელიც ქვეყნის მხოლოდ სამ მხარეს უჩვენებს, „ჩრდილოეთის“ გარეშე. თუმცა **მინისტრი დუმბაძე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ქართული დიასპორისთვისაც ცარიელი ადგილია...**

იქნებ ზედმეტ ჰიპერბოლიზებას ვახდენ?! იქნებ დიასპორის საქმეთა მინისტრი პაიკია, რომელსაც სახელმწიფო დეპარტამენტის ინსტრუქციების დარღვევა არ ძალუძს და იძულებულია, მთავრობის საგარეო პოლიტიკის არიერგარდში იჩანჩალოს? **მაგრამ განა ეს მთავრობა არ ამაყობს რუსეთთან სავაჭრო და ჰუმანიტარული ურთიერთობის აღდგენით?! სად არის ლოგიკა?! რატომ აგრძელებს „ქართული ოცნება“ „ნაციონალური მოძრაობის“ მანკიერ ტრადიციას და, საერთოდ, რა შუაშია აქ პოლიტიკა, როდესაც ლაპარაკია საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა უფლებებზე?!**

და რატომ დუმან სხვა დროს ნებისმიერი საბაბით „უკომპრომისო და გამჭვირვალე“ ცნობილი ქართველი „უფლებადამცველები“, იურისტთა, ადვოკატთა ასოციაციები და სხვა არასამთავრობო გრანტიჭამიები?! **თუკი ჩვენ, ქართველები, ერთმანეთს „პრორუსებად“ და „პროამერიკელებად“ ვყოფთ, როგორღა ვაპირებთ აფხაზებთან, ოსებთან საერთო ენის პოვნას და დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ურთიერთობის მოწესრიგებას, რის შესახებაც გამუდმებით შეგვახსენებს ბიძინა ივანიშვილი?!**

არნო ხიდირბეგიშვილი,
„საქინფორმის“ მთავარი რედაქტორი

წადით არჩევნებზე, სამცხე-ჯავახეთის მკვიდრნო!

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ახლიხეში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა, რომელიც ქვეყნის განვითარების პროცესში არჩევნების, ამომრჩეველთა აქტივობის მნიშვნელობას და სამოქალაქო ვალდებულებებს ეხებოდა.

პრეზიდენტს უნივერსიტეტში სასწავლებლის რექტორმა მერაბ ბერიძემ უმასპინძლა და ის პროექტები მიმოიხილა, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა. 2014 წლიდან დღემდე სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტთან „ურთიერთთანამშრომლობის შესახებ“ მემორანდუმის ფარგლებში, განხორციელდა უნივერსიტეტის ახალქალაქის აკადემიური და ადმინისტრაციული კორპუსების ინტერნეტიზაცია, ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია და დაწესდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდია, მიმდინარეობს ეთნიკური უმცირესობების ხელშეწყობის პროექტი. ჯამში უნივერსიტეტმა 95 000 ლარის დაფინანსება მიიღო. გიორგი მარგველაშვილმა პირველკურსელებს არჩევნებზე მისვლისკენ და მათი მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ არჩევნები ქვეყნის განვითარების შესაძლებლობის მიმცემი პროცესია, რომელში მონაწილეობაც საქართველოს მოქალაქეების პირდაპირი ვალდებულებაა.

პოლიტიკური სტრიპტიზი საქართველოში

სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მომავალი 4 წელი „ნაცმოძრაობის“ საბოტაჟისა და ნგრევის გარეშე!

„ნაცების“ საბოლოო ჩამოცილებაა „ოცნების“ რეალური მიზნების განხორციელების ერთ-ერთი პირობა, ამომრჩევლის ვალია, მიეხმაროს ახალ პარტიას, მოაცილოს ქვეყანას ეს მუხრუჭები „ნაცების“ სახით. მტერთან კოჰაბიტაცია უნდა დამთავრდეს, „ოცნება“ რეალურ შედეგებზე უნდა იქნეს ორიენტირებული. მაშინ ვერ დააბნევს ამომრჩეველს ათასი ჯურის პარტია — ზოგი ქამელეონივით რომ იცვლის ფერს და გველივით — პერანგს. 30 წელია, ისინი ატყუებენ ხალხს-ამომრჩეველს, ვითომ ოპოზიციონერობით, ვითომ პატრიოტიზმით და თავიანთ ნეოლიბერალური გარყვნილების იდეებით ძირს უთხრიან ქვეყანას, რამეთუ სახელმწიფო, უპირველესად, რწმენაზე, მორალზე, ზნეობაზე, მაღალ ღირებულებებზე უნდა იყოს დაფუძნებული, რუსთველის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის ქვეყანას ეს არ ესწავლება — რაგინდ მშიერი არ უნდა იყოს, სულიერად ყოველთვის იქნება ამაღლებული.

ქართველ ხალხს არ დავიწყნია 7 ნოემბერი — დემონსტრაციაზე „დემოკრატების“ მიერ საკუთარი ხალხის ჩახოცვის დღე, რომელზეც გამარჯვებას რუსთაველზე ზეიმობდა „ხელისუფლება“!

ქართველ ხალხს არ დავიწყნია 26 მაისი-გამარჯვების დამარცხებულ-დამცირებული, ხალხის ჩახოცვით გამორჩეული „დღესასწაული“.

არ დავიწყნია ვითომ პატრიოტიზმით წამოწყებული ომი, ფულზე გაყიდული ქვეყანა და აგვისტოს ომში ჩახოცილი ბიჭები, მიწაზე მფორთხავი პრეზიდენტი გორში.

არ დავიწყნია წაგებულ ომში გამარჯვებულ პრეზიდენტზე გადაღებული ძვირად ღირებული ჰოლივუდური ფილმი — ასე მოჩვენებითი იყო იგი ყველაფერში, ვიზუალური ბედნიერების ტელევიზიებიანად, უარესიც — იყო დაუნდობელი, მკვლელი და ამას აკეთებდა ხალხის სახელით, ხალხის არჩეულის ძალით, პარადოქსი ამაზე მეტი რა გინდა, ხალხს თავისსავე ძალაუფლებამ დაუნგრია ცხვირ-პირი. ამაზე მეტი რაღა გინდა — ხალხის ძალა შენ, ხალხის უფლებაც შენ, ხელისუფლებაც, სკამიც და ქონებაც შენ, ხალხის დამონების და წამების უფლებაც შენ! მთელ ქვეყანას უსმენდნენ, იღებდნენ პიროვნულ ცხოვრებას, აკონტროლებდნენ ყველაფერს, ნულოვანი ტოლერანტობა — ვითომ წესრიგისთვის ჩახოცილები, სათამაშოდ, ცდისპირად ქცეული ქვეყანა.

ნახევარი საქართველო საზღვარგარეთ გაიქცა — უმეტესობა ქალები, უდედოდ დარჩა ქვეყანა, არადა, მართლაც „ვინ თქვა უდედოდ გაზრდა შვილისა კარგისა“...

სააკაშვილმა თითქმის მოასწრო ქვეყნის გარყვნა და ახლა დიდი ძალისხმევაა საჭირო ამ პროცესის შესაჩერებლად, რასაც ექაჩებოდნენ სოროსელები, ამერიკულ ფულს დახარბებული პარტიები, რომელთათვის სამშობლოს ცნება გაუგებარია. **უსუფაშვილებს, ხიდაშელებს, ბერძენიშვილებს ვერ გაუგიათ, რატომ უნდა წავიდეს შვილი ჯარში,მით უფრო გაუგებარია სამშობლოსთვის თავგანწირვა, სამაგიეროდ, სხვების შვილები თუნდაც ერთ დღეს გაწყვეტილან ავღანეთში, სამხრეთ აფრიკაში თუ ერაყში, თუმცა, სამშობლოდან ყველა კეთილდღეობა უნდა ახვრიპონ დემოკრატიის შუქურებმა, მინისტრ ზაქარეიშვილს ვერ გაუგია, როდის იყო აფხაზეთი საქართველოს შემადგენლობაში, არადა, ნახევარ საქართველოს ერთ დროს აფხაზეთი ერქვა,** ეს იმიტომ, რომ ნატოში შესვლა თუ გვინდა, აფხაზეთ-სამაჩაბლოზე უარი უნდა ვთქვათ, რუსეთს ამისთვის არავინ წაეჩხუბება, მაშინ რაში გვჭირდება ნატო, ვინ გეომება, თუ ისევ ძალად არ ატეხე რამე.

სამწუხაროდ, საქართველოში არიან პარტიები, „ლიდერები“, რომელთაც ვერ გაურკვევიათ, რომ „რუსთავი-2“ დამოუკიდებელი მედიასაშუალება კი არა, სააკაშვილის ნეოფაშისტური რეჟიმის მსახურია, ბინძური თავისუფალი სიტყვის, დემოკრატიის სამოსელით ხალხის „სიყვარულით“ გაგიჟებული აკრიტიკებს „ოცნებას“ და ერთი სიტყვა არ დასცდენია და არც დაცდება „ნაცების“ მიერ წამებულ ხალხზე, ასე რომ, ის ვითომ მედია არანაკლებ დამნაშავეა ქართველი ხალხის წინაშე, რამეთუ, ახლაც არ ჩერდება და აგრძელებს ნგრევას, ჩვენ არ დაგვვიწყებია და არც დაგვავიწყდება, მთელი ქვეყანა ფეხზე რომ წამოაგდო, მოდელირებულმა „ქრონიკამ“, გარბოდა ომით დაშინებული გამწარებული ხალხი, რომელსაც ახლაც დასცინის ბოროტების სიკეთედ წარმოჩენით, ეს მართლაც ბორდელვიზია და ამას იცავენ ალასანია, ნათელაშვილი, ქარდავა, კაციტაძე და სხვები, **ამ აზროვნების ლიდერების იმედი უნდა ჰქონდეს ქართველ ხალხს? პოლიტიკური სტრიპტიზია საქართველოში — გამოჩნდა, ვინ ვინ არის, მის უკან რა იმალება და ესაა ნეოფაშიზმი.**

აი, რა რთული ამოცანის წინაშე დგას „ოცნება“, (რომლის იმედი კიდევ შერჩა ხალხს), რამდენ შინაურ მტერთან უწევს ბრძოლა და ხალხის მხარდაჭერის მოპოვება მის სამართლიან გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. მან უნდა დაარწმუნოს ქართველი ხალხი, რომ„ნაციონალებს“ ჰყავთ ფარული მიმდევრები, იმავე საქმეს რომ აკეთებენ და ოკეანის გადაღმიდან იმართებიან. მათ შორის „რესპუბლიკელები“, „თავისუფალი დემოკრატები“, „ახალი მემარჯვენეები“ ... არასამთავრობოები და ბოლოს პრეზიდენტი, რომლმაც ქართველ ხალხს დებილი უძახა და რეფერენდუმის ნება არ დართო ერთნაირსქესიანთა ქორწინების საკითხზე — ამერიკას ეწყინებაო.

ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ბევრი სიკეთე გაუკეთა ქვეყანას, მაგრამ კოალიციით, მერე კოჰაბიტაციით და პრეზიდენტის ხათრით არჩევით დიდი შეცდომა დაუშვა (ან როგორ აგინებენ 4 წლის მერე), თუმცა, მან თავი გადადო, როცა იმ რეჟიმს შეეჭიდა. არადა, **სად იყვნენ მაშინ ეს პარტიები, არასამთავრობოები, როცა ერთი კაცი იქამდე მიუშვეს, რომ ნერონს და კალიგულას გადააჭარბა — გააპარტახა ქვეყანა და მის სამსახურში (და არა ხალხის) იყო ყველა, სასამართლო — კონსტიტუციური თუ არაკონსტიტუციური, პოლიცია — პროკურატურა, უშიშროება — საშიშროება, ყველა სამინისტრო, სამთავრობო — არასამთავრობო, კუდი და ათასი უბედურება — კონსტიტუცია ასე არავის მოურგია ერთ კაცზე, არავის დაუცინია ასე, არც ერთ დიქტატორს... ისე ჭკვიანი დიქტატორი ათასჯერ სჯობს გიჟ დემოკრატს.**

„ოცნებას“ რთული გზა აქვს გასავლელი, უნდა ახსოვდეს, რომ დღეს სხვა გეოპოლიტიკური რეალობაა, დიდხანს ვერ გასტანს ამერიკის დიქტატი — ეს ნახა მსოფლიომ — გაუთავებელი ომები დემოკრატიის სახელით რომ წარმოებს. დიპლომატიის გარეშე, ხისტი პოლიტიკით ფონს ვერ გავალთ, მით უფრო პატარა ქვეყანა, რომელიც ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სტრატეგიული პუნქტია და იგი მტრობის და ომის ადგილად კი არა, ქვეყანათა შორის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური ურთიერთობების ცენტრად უნდა ვაქციოთ.

შეცდომების აღიარება არ უნდა გვიჭირდეს, ეს 30 წელი ხომ სულ შეცდომებზე ვიარეთ, ვერ მოვიცილეთ შური და მტრობა, ყოველი კაცი გვარ-პარტიას ქმნის, რამდენი საერთოდ გაქრა — დიდი თანამდებობის პირი, უკან არც მოუხედავთ, წასაღები წაიღეს, ჩვენ სინანული გვეუფლება — ეს ვის ჩავაბარეთ ქვეყანა... ახლაც 200 პარტია იბრძვის ვითომ ქვეყნის გადასარჩენად, არადა, ქვეყანა ერთია, ხომ შეიძლება რამდენიმე პარტიად გაერთიანება?

რისი პატიებაც არ შეიძლება.

რაკი სინდისის ძარღვი გაწყვეტილია, „ნაცები“ ისევ ხელისუფლებაში მოსვლაზე ფიქრობენ, მაგრამ .....ქართველ ხალხს არ დავიწყნია:

სააკაშვილის მაოხრებელი ბანდის ნამოქმედარი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, კეზერაშვილი, ოქრუაშვილი და ბევრი ვაიშვილი, ზურგს რომ უმაგრებდა ფსიქიკურად შეურაცხად კაცს — ნიჭიერ გიჟს, საერთაშორისო აფერისტს, მატყუარას, ვითომ გმირს, სინამდვილეში კი მშიშარას. ამ არჩევნების მიზანიც მათი საბოლოო ჩამოცილებაა და ამით მორჩება კოჰაბიტაციაზე საუბარიც.

ეს შესაძლებლობა ქართველი ამომრჩევლის ხელშია, დანარჩენიც მისი გადასაწყვეტია — ვის ანდოს საქართველო, რომელსაც საუკუნეების განმავლობაში მტერმა ვერაფერი დააკლო, ნუთუ შინაურ მტერს უნდა გავანადგურებინოთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, ღმერთი არ გვაპატიებს!

„ნაციონალებს“ იმდენი უბედურება აქვთ გაკეთებული, იმდენი დანაშაული ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე, ბარე ნ ხელისუფლებას ეყოფა შედარებითი წარმატების წარმოჩენისა და თავის გამართლებისთვის, მაგრამ ეს საქმეს არ შველის, ქვეყანამ წინ უნდა იაროს რეალური თავისუფლების, დემოკრატიის, შენების, კაცთმოყვარეობის, რწმენისა და მორალის გზაზე.

ზურაბ აბრალავა,
გაზეთ „ნიკოლაძის გზით“ რედაქტორი,
ზუთი

ინტერნეტში მიხეილ სააკაშვილის მიერ გამართული თათბირების აუდიოჩანაწერები გავრცელდა

ინტერნეტში გუშინ მორიგი აუდიოჩანაწერები გავრცელდა, სადაც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გამართული თათბირებია ასახული. აუდიოჩანაწერების გავრცელებამდე კი, ინტერნეტში გამოჩნდა ვიდეო, სადაც ზურგით ზის მამაკაცი და საუბრობს, რომ არის ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის თამშრომელი, მიხეილ სააკაშვილის თათბირების აუდიოჩანაწერები კი, რომელიც თავად გაავრცელა, ვრცელდებოდა სააკაშვილის გარემოცვიდან და ეს იყო ნიკა გვარამია, როდესაც გვარამია განათლების მინისტრი იყო.

„მე გიჩვენებთ, თუ როგორ იწერდა მიხეილ სააკაშვილთან თათბირებს გვარამია, როცა მინისტრთა კაბინეტის წევრი იყო. ეს არის უზნეო ადამიანი, რომელიც ყველა საშუალებით იწერს ყველა შინაარსს. მე ამას იმიტომ ვაკეთებ და ვასაჯაროვებ, რომ ჩვენ გავხდით ბინძური თამაშის წევრები და ბრმა იარაღები. ჩვენ გვიყენებენ თავიანთი ბინძური გეგმების განსახორციელებლად. ამ ფაილების მოსმენის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ნიკა გვარამია თავისი მიზნების მისაღწევად სისხლისღვრასაც არ მოერიდება და ნებისმიერ ჩვენგანს გაწირავს“, — ნათქვამია ვიდეოჩანაწერში.

პირველი თათბირის ჩანაწერში ისმის: **„ტელევიზორში “გრეჩიხა“, უმცროსი „გრეჩიხა“ და ვიღაც კიდევ ორი ვაკელი ნარკომანი. ძმაო, ეხლა ეგენი რომ აშენებ სასტუმროებს და დისკოტეკებს, ვის გავაკვირვებთ ჩვენ ჰა ჰა ჰა. ჩვენთან ბიჭო, თუ ვინმე ჩამოვა არის ჩვენი ძმა ბიჭები, ძმა ბიჭური გაგების გამო და აბა დისკოთეკა იქ რომ არის, პარიზში.**

აი, რამე უნდა ვქნათ ძმაო. აი, კულტურის გულისთვის ჩამოვლენ, ამის გულისთვის ვინ ჩამოვა. მარგველაშვილი ყ.. არის და ყველაზე ნაკლებად ყ.. არის მათ შორის

აბსოლუტური პიტალოა.

პიტალო ყ. .. არ არის მათსავით, მარგველაშვილზე მაშინ ჩავიქნიე ხელი, როცა მითხრა, რომ ჩვენი სკოლა ყველაზე კარგი იქნებაო, იმიტომ რომ მართლმადიდებლური იქნებაო. სადაც მე ვიქნები, ფარავნის ტბაზეო, ვასაძის. სხვათაშორის პირველკურსელებს ქართულ ენაზე უხსნიდა, ნაწილმა თქვა, რომ თუ კაცი ქართულ ენაზე ლაპარაკობსო, ის მართლმადიდებელი არ არისო, ის ქართველი არ არისო“, — ისმის ჩანაწერში.

მეორე ჩანაწერში ისმის: **„პრემიებს ვარიგებთ რელიგიურ დღესასწაულებზე. რატომ?**

წმინდა გიორგის გარდა როდის ვარიგებთ?

აღდგომა, მარიამობა; წმინდა გიორგი ერთადერთი წესიერი კაცია სასტავში;

წმინდა გიორგი ცხენზეა და შუბი“, — ისმის ჩანაწერში.

◎ საგარეო ვაჭრობა

რა გველის დიდი კედლის მიღმა?

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ, საქართველოს საგარეო სავაჭრო პარტნიორთა ნუსხაში მსოფლიოს ერთ-ერთი უმძლავრესი ეკონომიკის მქონე ჩინეთის რესპუბლიკა დროდადრო თუ გამოჩნდებოდა ხოლმე, ბოლო დროს კი მან მოწინავე ხუთეულშიც დაიმკვიდრა ადგილი. ამასობაში, საქმე ისე მიდის, რომ ამ მიმართულებით უფრო მეტ წინსვლასაც უნდა ველოდოთ, რის საფუძველს ახლახან მასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დასრულებული მოლაპარაკებები იძლევა.

ამასთან დაკავშირებით დამკვირვებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკებებს სულ შვიდი თვე დასჭირდა, რა ხნის მანძილზე გამართული სამი რაუნდის დროს მხარეთა პოზიციები სათანადოდ შეჯერდა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მოლაპარაკებები ერთიანად მხოლოდ მას შემდეგ დასრულდება, რაც უახლოეს მომავალში თბილისს ჩინეთის ოფიციალური დელეგაცია ეწვევა ქვეყნის ვაჭრობის მინისტრის ხელმძღვანელობით, რომელიც საქართველოს მთავრობასთან ხელს მოაწერს შესაბამის მემორანდუმს. ჩინეთის ვაჭრობის მინისტრის ვიზიტი საქართველოში ოქტომბერში შედგება. ამის შემდეგ ხელშეკრულების ტექსტი ორთვიან ექსპერტიზას გაივლის. სამთავრობო წრეებში იმის მოლოდინია, რომ ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტს დეკემბერში მოეწერება ხელი, ხოლო მის რეალურად ამოქმედებას გაისად, წლის შუაში უნდა ველოდოთ ორივე ქვეყნის პარლამენტში რატიფიკაციის პროცედურის გავლის შემდეგ.

ამდენად, გადაჭრით იმის თქმა, თუ როგორი იქნება კონკრეტულად ეს ხელშეკრულება, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, მაგრამ ამთავითვე ცნობილია, რომ ჩინეთში სამამულო ექსპორტის მთავარი სასაქონლო ჯგუფები იქნება **სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ღვინო და მინერალური წყლები,** ასევე **გარკვეული სახეობის მომსახურება,** რომლებიც ჩინეთის ბაზარზე საბაჟო განაკვეთების გარეშე დაიშვება, რაც მათ კონკურენტუნარიანობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

— ესაა უპრეცედენტო შემთხვევა, როცა ღვინოსა და აგრარულ პროდუქციაზე ჩინეთმა პარტნიორ ქვეყანას საბაჟო გადასახადები მოუხსნა ყოველგვარი გარდამავალი პერიოდის გარეშე, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **გიორგი ქუმსიშვილმა**.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ, საქსტატის მონაცემებით, წლეულს იანვარ-ივლისში, ჩინეთის რესპუბლიკაზე საქართველოს მთლიანი საგარეო-სავაჭრო ვაჭრობის 6,3 პროცენტი მოდის. ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დიდია ექსპორტის ნაწილში და 9,7 პროცენტს უდრის. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამავე პერიოდში ჩვენი ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ **კანადა** (მილიარდ 304 მილიონი დოლარი), **თურქეთი** (891 მილიონი დოლარი) და **რუსეთი** (460 მილიონი დოლარი). მეოთხე ადგილზე კი სწორედ **ჩინეთია** (413 მილიონი დოლარი), თანაც იქ სამამულო პროდუქცია ჩვენთვის წლების მანძილზე ტრადიციულ რუსეთის ბაზარზე უკვე მეტი ოდენობით გადის (შესაბამისად, 101,6 და 109,2 მილიონი დოლარი).

ჩინეთში ქართული საექსპორტო პროდუქციის უდავო ლიდერი უმეტესწილად **შავი მშრალი ღვინოებია, მათ შორის 95 პროცენტი „საფერავია"(!)** ჩვენებური ღვინის მოხმარების მხრივ ჩინეთი წლეულს ექსპორტიორთა სამეულშიც კი შედის: თუ შარშან იქ ორნახევარი მილიონი ბოთლი გაიყიდა, წლევანდელი პროგნოზით ამ მაჩვენებელმა ოთხ მილიონ ბოთლს უნდა გადააჭარბოს.

მას შემდეგ, რაც თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების თაობაზე საქართველო-ჩინეთის მოლაპარაკებები დაიწყო, ექსპერტები, ჩვენი აზრით, სავსებით საფუძვლიან შიშს გამოთქვამდნენ გარკვეული ასპექტების მიმართ, რის შესახებ ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც არაერთგზის გვისაუბრია. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოდან ნებისმიერი საქონლის ექსპორტირება, მით უმეტეს მსოფლიოს უდიდეს ბაზარზე, თანაც მნიშვნელოვანი პრეფერენციებით, უდავოდ დიდი მიღწევაა გარკვეული პროდუქციის სამამულო მწარმოებელთათვის. ამასთან, მხარეთა თანაბარი უფლება-ვალდებულებათა თანაფარდობის პრინციპის შესაბამისად, იგივე შეღავათები ჩინური საქონლისთვისაც იარსებებს. თუკი „შეუძლებელს შევძლებთ" და ორი ქვეყნის ეკონომიკების შედარებას ვეცდებით, მაინც არაფერი გამოგვივა, რადგან აშკარად „სხვადასხვა წონით კატეგორიას" განვეკუთვნებით. ჰოდა, იმ პირობებში, რომ სამამულო ბაზარზე იაფიანი ჩინური საქონელი ახლაც მრავლადაა, საბაჟო პრეფერენციების ამოქმედების შემდგომ მისი ოდენობა ჯერადად გაიზრდება, რაც ადგილობრივ მეწარმეებს ძალიან სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენებს. ამდენად, ვფიქრობთ, რომ აუცილებელია კიდევ ერთხელ იმის გამეორება, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მომავალ ხელშეკრულებაში ეროვნული ეკონომიკის დაცვის გარკვეული და მძლავრი მექანიზმები უნდა იყოს ჩადებული.

აღსანიშნავია, რომ ვიდრე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ საქართველო-ჩინეთის მოლაპარაკებები დაიწყებოდა, ჩვენმა მთავრობამ კვლევით ორგანიზაცია „ფიემსიჯის" გარკვეული საპროგნოზო სამუშაოს ჩატარება დაუკვეთა. PMCG-ის ექსპერტების კვლევის შედეგად დადებულ დასკვნაში ნათქვამია, რომ შეთანხმების დადებიდან მოკლე დროში საქართველოს პროდუქციის ჩინეთში ექსპორტი 9 პროცენტით გაიზრდება, ხოლო ცალკეული პოზიციების მიხედვით, კერძოდ, ღვინისა და უალკოჰოლო წყლებისა, ეს ზრდა გაცილებით მეტი იქნება, შესაბამისად, 28,5 და 36,7 პროცენტით. ნათქვამი იყო ისიც, რომ ამავე დროს ჩინური საქონლის ექსპორტი მხოლოდ 1,7 პროცენტით მოიმატებს. ვარაუდობენ, რომ ჩინური პროდუქცია, უმეტესწილად, თურქეთიდან შემოტანილ საქონელს ჩაანაცვლებს. ხაზს უსვამენ იმასაც, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ამოქმედების შემდგომ, ამ ტიპის საბიუჯეტო შემოსავალი, ყველაზე მეტი, 12 პროცენტით შემცირდეს. ამასთან, უაღრესად პოზიტიური მომენტი ისაა, რომ **თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ამოქმედებამ დიდად უნდა შეუწყოს ხელი ჩინეთიდან ინვესტიციების ნაკადის მომძლავრებას, განსაკუთრებით კი ჰიდროენერგეტიკის, საფინანსო, სამედიცინო მრეწველობის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციებისა და ინტერნეტისა და ბუნებრივი რესურსების სფეროებში, ასევე ღვინის წარმოებაში.**

აი, ასეთი ვითარებაა ამ მხრივ სადღეისოდ, საქართველოში ჩინეთის მთავრობის მაღალი რანგის წარმომადგენლის ვიზიტამდე ცოტა ხნით ადრე. ხოლო თუ როგორი იქნება მასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების რეალური შედეგები, ეს მეტ-ნაკლებად მიახლოებით მხოლოდ გაისად, წლის მიწურულისთვის გვეცოდინება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ უძრავი ქონება

ხალხი ქალაქის ცენტრს ეცლება

დღევანდელი თბილისის ერთი გამორჩეული ნიშანი ნამდვილად სამშენებლო ბუმია, რომელმაც დედაქალაქის უკლებლივ ყველა უბანი მოიცვა. საერთოდაც, სამშენებლო ბიზნესი თანამედროვე საქართველოში მუდამ დიდი აქტივობით გამოირჩეოდა, თუმცა კი, შიგადაშიგ, გარკვეული „ჩავარდნებიც" იყო. ერთი ასეთი პერიოდი დარგმა ამ ცოტა ხნის წინათაც გამოიარა, ახლა კი კვლავ აღმავლობის გზას ადგას.

ყოველივე ზემოთქმული უმეტესწილად სამოქალაქო მშენებლობას ეხება და, იმის მიუხედავად, რომ ქვეყანაში სამრეწველო ობიექტების, გზებისა და სხვა დიდი მშენებლობები მიმდინარეობს, დღევანდელი საუბრის თემა სწორედ მას, უფრო სწორად კი ჩვენში უძრავი ქონების ფასებს უკავშირდება, რის შესახებ ბაზრის კვლევის ანგარიში უძრავი ქონების ლაბორატორიამ (REM Lab) გამოაქვეყნა.

ბუნებრივია, რომ როცა ამდენი ახალი საცხოვრებელი ფართი, სულაც ახალი, საკუთარი ინფრასტრუქტურით სრულად აღჭურვილი უბანიც კი შენდება, მასზე მოთხოვნაც არსებობს, თუმცა ისიცაა, რომ ბევრი, ასე ვთქვათ, „მეორადი საცხოვრისი" თუ კომერციული დანიშნულების ობიექტიც იყიდება. მაშ, როგორია ზოგადად და კონკრეტულად სხვადასხვა სახეობის უძრავი ქონების ფასები თბილისში ბოლო დროს? REM Lab-ის მიერ ახლახან გამოქვეყნებული კვლევაც, რომელიც „თიბისი ბანკის", ISET-ის კვლევითი ინსტიტუტისა და JumpStart-ის ერთობლივი პროექტის ნაწილია, არსებითად, სწორედ ბოლო ერთი წლის (შარშანდლიდან წლევანდელ ზაფხულამდე) პერიოდს მოიცავს.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ **ამ ხნის განმავლობაში, დედაქალაქში კვადრატული მეტრი საცხოვრისის ფასი 840-900 დოლარის ფარგლებში იყო მოქცეული.**

წლევანდელი ივნისის მონაცემების მიხედვით, **ყველაზე დიდი ფასი საცხოვრებელი ბინების კვადრატულ მეტრებს მთაწმინდის რაიონში** აქვს, სადაც ის 1000 დოლარზე ოდნავ მეტია. ასევე ყველაზე მეტი თანხა უნდა გადაიხადოს მთაწმინდის რაიონში საცხოვრისის ქირაობის მსურველმა, სადაც ერთი კვადრატული მეტრი, ცხადია, გადაანგარიშებით, დაახლოებით 10 დოლარამდე დაუჯდება. ყველაზე იაფი საცხოვრისის ფართი კი სამგორშია, სადაც კვადრატული მეტრის 540 დოლარად ყიდვა შეიძლება. ასევე იაფია აქ ბინის ქირაობაც (ასევე გადაანგარიშებით) — კვადრატულ მეტრში აქ 5 დოლარს ითხოვენ. კვლევაში საგანგებოდ ისიცაა აღნიშნული, რომ წლევანდელ ზაფხულში, შარშანდელ ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საცხოვრებელი ქონების ქირის ფასის ინდექსი 13 პროცენტზე ოდნავ მეტით შემცირდა.

ექსპერტები იმასაც მიუთითებენ, რომ **დედაქალაქში საკმაოდ მაღალია ასევე კომერციული უძრავი ქონების გაყიდვისა და იჯარის ფასები.** ამასთან, ხაზს უსვამენ იმასაც, რომ საანგარიშო პერიოდში ფასების გარკვეული, მთელ რიგ შემთხვევაში საკმაოდ საგრძნობი მერყეობებიც აღინიშნებოდა. კერძოდ, შარშან ზაფხულში კომერციული ფართების გაყიდვის ფასები1090-დან 1230



დოლარის ფარგლებში იყო მოქცეული, წლეულს კი ეს ინდექსი თითქმის 10 პროცენტითაა შემცირებული. კომერციული ფართის კვადრატული მეტრის ფასი ამ ხნის განმავლობაში 10-12 დოლარის ფარგლებში იყო მოქცეული, თუმცა კი წლეულს ამ ინდექსმაც დაახლოებით 5 პროცენტით მოიკლო.

ბოლო ერთი წლის მანძილზე თბილისში ყოველთვიურად უძრავი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით საშუალოდ 2400-მდე ტრანზაქცია ხორციელდებოდა, რომელთა მესამედზე მეტი ვაკისა და საბურთალოს რაიონებზე მოდის. წლეულს მათი რიცხვი 30 პროცენტით გაიზარდა.

დარგის ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ ყველაზე აქტიური პერიოდი მარტ-აპრილი იყო, თანაც რაოდენობრივად მოთხოვნა უფრო ძველაშენებულ საცხოვრებელზეა. ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ, მართალია, დიდი ბინებიც იყიდება საკმაოდ მაღალ ფასებში, მაგრამ მეტი მოთხოვნა უფრო მცირე, 45-65 კვადრატული მეტრი ფართის ბინებზეა. ალბათ, ამიტომაცაა, რომ ბოლო ხანებში ბინების ყიდვის მსურველები გაცილებით მეტად დედაქალაქის გარეუბნებისკენ მიილტვიან. ამ ტენდენციას თავისი ახსნაც აქვს: გარდა იმისა, რომ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად ცენტრამდე მგზავრობის დიდი დრო არ სჭირდება და გარეუბნებში უფრო მეტი სიმწვანე და გაცილებით ნაკლებად დაბინძურებული ჰაერია, იქაურ ახალშენებში „შავკარკასიან" საცხოვრისში კვადრატული მეტრის ფასი დაახლოებით 400 დოლარია.

უძრავი ქონების ბაზარზე დღესდღეობით ერთგვარი „ტაიმ-აუტია", რაც, როგორც ჩანს, წინასაარჩევნო პერიოდთანაა დაკავშირებული, მეტი აქტივობა კი, როგორც ჩანს, ნაახალწლევს უნდა დაიწყოს.

არსებული ინფორმაციით, უძრავი ქონების ლაბორატორიის კვლევების შედეგები, ინდექსებთან ერთად, რეგულარულად, ყოველთვიურად გამოქვეყნდება. ამასთან, სამომავლოდ, მათი გეოგრაფიაც გაიზრდება და საქართველოს სხვა ქალაქებსაც მოიცავს.

ნინო ალექსანდრია

კახა კუჭავას ფანტაზია ზოფხითოში რეალობად იქცა

ამას წინათ დიდი ხნის უნახავ რაჭველ მეგობარს შევხვდი. გული ვიჯერეთ საუბრით. ონის ამბები ვკითხე. ზოფხითოს საბადოზე ჩამოაგდო სიტყვა – კომპანია Caucasus Minerals-ი აქტიურად მუშაობს, საქმესაც კარგი პირი უჩანს, ხალხიც კმაყოფილიაო. კომპანიის თავკაცს ღების სკოლის მოსწავლეებისთვის სპორტული ინვენტარი და ფორმები ჩაუტანიაო საჩუქრად.

კახა კუჭავას ქველმოქმედებაზე უწინაც არაერთხელ მსმენია. ეს ახალგაზრდა ბიზნესმენი 37 წლისაა, მეუღლე და სამი შვილი ჰყავს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 2001 წელს სამუშაოს დაწყება არ გასჭირვებია, რადგან ინგლისური და რუსული ენები კარგად იცოდა: წითელ ჯვარსა და ერთ-ერთ იურიდიულ ფირმაში საქმიანობდა. 21 წლისა წითელი ჯვრიდან ამ ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე მოხვდა ჟენევაში, როგორც დელეგაციის ყველაზე ახალგაზრდა წევრი. ერთი წლის შემდეგ ინგლისში ნოტინგემის სამართლის სკოლაში განაგრძო სწავლა, იქაც კარგი სამსახური იშოვა, მაგრამ ჩვენთან მომხდარი ვარდების რევოლუციის მერე სამშობლოში დაბრუნდა, რადგან ყოველთვის სურდა, საქართველოში ეცხოვრა და საკუთარი ერისთვის ემსახურა. 2005 წლიდან, როცა ბიზნესგარემოს განახლება დაიწყო, USAID-ის პროგრამით საჯარო რეესტრის რეფორმაში, საგადასახადო ბაზის პირდაპირ რეესტრთან მიერთებასა და ბიუროკრატიის შემსუბუქებაში მონაწილეობდა. 2007 წელს საერთაშორისო საფინანსო კორპორაციაში (IFC) გადავიდა სამუშაოდ და ორ წელიწადში ისეთ პროექტს ხელმძღვანელობდა, რომელიც უზარმაზარ ტერიტორიას მოიცავდა ბალკანეთიდან მონღოლეთამდე.

– მქონდა შანსი, ამ ორგანიზაციაში უფრო დავწინაურებულიყავი, მაგრამ ყოველთვის მინდოდა რაღაც ჩემი შემექმნა, რომ მთელი ცხოვრება კარგი ორგანიზაციის იურისტად არ დავრჩენილიყავი, – მითხრა ბატონმა კახამ. – ორ მეგობართან – დავით ერისთავსა და რეზო ბერიძესთან ერთად დავაარსე იურიდიული კომპანია „ერისთავი და პარტნიორები“. თავიდანვე ბიზნესზე ვიყავით ორიენტირებული და აქტიურად შევედით ბაზარზე, ამერიკულ იურიდიულ ფირმასთან კონტრაქტს მოვაწერეთ ხელი და ოკეანისგაღმელთა ადგილობრივი პარტნიორები გავხდით. ფაქტობრივად, საქართველოში ჩამოსულ ყველა ინვესტორთან ვთანამშრომლობდით.

– სპეციალობით იურისტი სამშენებლო ბიზნესში როგორ აღმოჩნდით?

– ბევრი სხვა ორგანიზაციის მსგავსად, თიბისი ბანკთანაც დავამყარეთ ურთიერთობა. როგორც ერთ-ერთმა პარტნიორმა, შემოგვთავაზა, რამდენიმე კომპანიას, რომლებიც გაკოტრების პირას იყვნენ, სამშენებლო და იურიდიულ საკითხებში დავხმარებოდით. ბოლოს ისე მოხდა, რომ ეს კომპანიები სამართავად ავიღეთ. ასე შევდგით ფეხი სამშენებლო ბიზნესში. ჩვენი ხელმძღვანელობით დასრულდა სამი ძალიან პრობლემური მშენებლობა. თუ გახსოვთ, იყო ასეთი პროექტი – „თბილისის ახალი სიცოცხლე.“ გაჩერებული მშენებლობების გამო ხალხი ვერ გადმოჰყავდათ ახალ ბინებში. ჩვენ დავასრულეთ სამივე შენობის მშენებლობა, რომლებშიც ასზე მეტი ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად. ხალხიც კმაყოფილი დარჩა, თბილისის მერიაც და ბანკიც, რომელმაც სესხები დაფარა. ამ წარმატების შემდეგ სამშენებლო ბიზნესი გავაფართოვეთ, გუდაურში მიტოვებული შენობა შევიძინეთ და ახლახან იქ ცხრასართულიანი სასტუმროს მშენებლობა დავასრულეთ, რომელიც ჩვენი საკუთრებაა. მალე კეთილმოწყობის სამუშაოებს დავიწყებთ. ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმრო იქნება. მშენებლობების პარალელურად ბიზნესმიმართულებებისთვისაც არ შეგვიქცევია ზურგი. საკორპორაციო სამართლის სპეციალისტი ვარ – მაგისტრის ხარისხი ინგლისში მომანიჭეს. კარგა ხანს მქონდა შეხება კერძო სექტორთან. ყოველთვის ვეძებდით სიახლეებს. რამდენიმე მიმართულება მოვსინჯეთ. ერთ-ერთი იყო სამთო-გეოლოგიური პროექტი.

– ბატონო კახა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თქვენი კარიერული გზა სულ ია-ვარდებით იყო მოფენილი. მართლაც ასეა?

– (ეცინება). აქტიური საქმიანობა 2011 წლიდან დავიწყეთ და 2012 წელს, როცა ფეხზე დავდექით, სწორედ მაშინ მოგვხვდა საკმაოდ ძლიერად ყბაში. არა, ნოკაუტი არ ყოფილა, მაგრამ არც ბევრი დაკლებია: პირველი ის იყო, რომ წყალტუბოში ჩვენი კუთვნილი შვიდი ათასი კვადრატული მეტრი მიწა ჩამოგვართვეს. ალბათ, გახსოვთ, პარლამენტის ქუთაისში გადასვლის შემდეგ დეპუტატებისთვის წყალტუბოში სახლების მშენებლობა დაიწყეს. ჩვენი მიწა მათი მომიჯნავე აღმოჩნდა. დაგვიბარეს და ხელის ერთი აქნევით აგვწაპნეს – გვჭირდება და შეწინააღმდეგება არც იფიქროთო. 2012 წლის ოქტომბერში მთავრობა რომ შეიცვალა, ჩვენი კუთვნილი მიწა ადვილად დავიბრუნეთ.

თელავშიც გვქონდა დიდი აქტივი, ერეკლე მეორის მოედანზე – სასახლის პირდაპირ. მიშას მთავრობას ინვესტორი ჰყოლია, რომელსაც იქაურობა მოსწონებია. 2012 წლის ზაფხულში დაგვიბარეს გამგებლის მაშინდელმა მოადგილემ და პროკურორმა: ძმაო, ჩვენ რა ვქნათ, ზემოდან დაგვავალეს. საქმე ადეიშვილსა და ცხაკაიასთან მოაგვარეთ, ჩვენ უბრალო შემსრულებლები ვართო. თან 100.000 დოლარი შეგვატანინეს კახეთის განვითარების ფონდში. დაგვემუქრნენ – თუ ხმას ამოიღებთ, თქვენს მეგობარს დავიჭერთო. თელავის მიწის გადაფორმება, რაც შეგვეძლო, გავჭიმეთ – ინგლისში წავედი. დღე ერთი იყო და ათჯერ მაინც მირეკავდნენ – დროზე ჩამოდი და ფულიც ჩამოიტანეო. განსაკუთრებით თელავის გამგებლის მოადგილე აქტიურობდა. 2012 წლის 29 სექტემბერს მაღალი თანამდებობის პირმა დაგვირეკა და გვითხრა, არჩევნები გადავადდა და თქვენც მოგხედავთო. მაშინ ტელევიზიით ციხესთან დაკავშირებულ ვიდეოკადრებს აჩვენებდნენ და წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავვარდებოდით – ვის სურდა, იმ სიტუაციაში ცხრაკლიტულში აღმოჩენილიყო, ამიტომ სამშობლოს დატოვება გადავწყვიტეთ. ბილეთებით შინ ვისხედით და ველოდებოდით, არჩევნებში ვინ გაიმარჯვებდა. საბედნიეროდ, უფლისა და ბატონი ბიძინა ივანიშვილის წყალობით ყველაფერი კარგად დასრულდა და ჩვენც მშვიდად განვაგრძეთ საქმიანობა. სამშენებლო ბიზნესს დათო ერისთავი ხელმძღვანელობდა, მხოლოდ სამართლებრივ საკითხებში თუ ჩავერეოდი, რეზო ბერიძე –იურიდიულს, მე კი სამთო-გეოლოგია ჩავიბარე.

– ეს ხომ თქვენი სპეციალობიდან შორს დგას...

– 2001 წელს, როცა იურიდიულ ფირმაში დავიწყე მუშაობა, ჩემი ერთ-ერთი კლიენტი იყო მადნეულის ავსტრალიელი დირექტორი, რომელსაც ხშირად დავყვებოდი რაიონებში – საინტერესო საბადოების პოტენციალი აინტერესებდა. ასე აღმოვჩნდით ზოფხითოში. აღტაცებული დარჩა – ამ საბადოს დიდი პონტენციალი აქვსო. მერე ავსტრალიელებმა მადნეულის წილი გაყიდეს და საქართველო დატოვეს. მასალები მე დამრჩა. არქივებში დამატებითი მასალები მოვიძიე, გეოლოგები დავიქირავე და შევადგინე ახალი პაკეტი, ზოფხითოზე რა მასალა არსებობდა, რა სამუშაოები ჩატარდა და საბადოს რა პოტენციალი აქვს. ბევრს არარეალური ეჩვენებოდა ჩემი ფანტაზია – იმასაც ვნახავთ, ზოფხითოში რა ხვითოსაც დაიჭერო, მაგრამ მალევე დამიკავშირდა საბადოთი დაინტერესებული ბრიტანული კომპანია, რომელთანაც ახლაც ვთანამშრომლობ. ლონდონში ჩავფრინდი და მარტინ ჩერჩჰაუსთან 15 წუთში მოლაპარაკებაც დავასრულე. კონტრაქტზე ხელიც არ მქონდა მოწერილი, რომ ანგარიშზე მილიონი დოლარი დამისვა, რომ ლიცენზია მეყიდა.

– ცხადია, ამხელა თანხას ინვესტორი არ მოგცემდათ, პროექტი მომგებიანი რომ არ იყოს.

– ცნობილ ინგლისელ სპეციალისტს ჩემი პროექტით ვერანაირად მოვხიბლავდი, თავად რომ არ სცოდნოდა, რომ ეს მომგებიანი საქმეა. საბჭოთა კავშირის დროინდელი კვლევები ჰქონდა წაკითხული და იცოდა, რომ საბადოს დიდი მომავალი აქვს. საუბარია არა ოქროსა და სპილენძზე, არამედ ისეთ ლითონზე, რომელიც, ბრიტანული სტატისტიკის მიხედვით, სამ ყველაზე იშვიათ ლითონთა ნუსხაში შევიდა. ინგლისელი ინვესტორი ამიტომაც შეუერთდა ჩვენს პროექტს უყოყმანოდ.

– მკითხველისთვის უფრო გასაგები რომ გახდეს, რომელ ლითონზეა ლაპარაკი?

– ანტიმონიუმზე. გეოლოგიურ ენაზე სტიბიუმი ჰქვია. ანტიაალებადი ნივთიერებაა, რომელიც ცეცხლმაქრობ საშუალებად გამოიყენება – აალებას უშლის ხელს. ხანძარსაწინააღმდეგო ბალონებიდან თეთრი ქაფი რომ გამოდის, ის ანტიმონიტია. მისი მსოფლიო მოხმარების 55 პროცენტი ცეცხლსაქრობზე მოდის. თანამედროვე ტექნოლოგიები – კომპიუტერები, ტელეფონები, პლანშეტები, ანუ ყველა ტექნიკა, რომლებიც ელექტროობასთან არის დაკავშირებული, გადახურების შედეგად რომ არ აალდეს, ანტიმონიტს შეიცავს. ამას წინათ დიდი სკანდალის მოწმენი გავხდით: თვითმფრინავში დატენვისას სამსუნგის ტელეფონებმა აალება დაიწყო. ეტყობა, მწარმოებლებმა ანტიმონიტი არ გამოიყენეს – იფიქრეს, უამისოდაც გავიდოდნენ ფონს, მაგრამ ტელეფონი როგორც კი გადახურდა, მაშინვე აალდა.

დედამიწაზე ცოტაა ადგილები, სადაც ეს მოვერცხლისფრო-მონაცრისფრო მადანი მოიპოვება. მსოფლიო მარაგების 75-80 პროცენტი ჩინეთშია, დაახლოებით 950.000 ტონა და მონოპოლიაც მათ აქვთ. შემდეგ მოდის რუსეთი – 350.000 ტონა, ბოლივია – 310.000, ტაჯიკეთი – 50.000, სამხრეთი აფრიკა – 21.000 ტონა. საქართველოში შესწავლილი 60-დან 17 ძარღვში აღმოჩენილია 30.000 ტონაზე მეტი მარაგი. ასე რომ, ჩვენთან ურთიერთობა ყველა კომპანიისთვის სასურველი და მომგებიანია. განსაკუთრებით ჩინელები აქტიურობენ. ცხადია, მონოპოლიის დაკარგვა არ სურთ.

– რამდენწლიან მარაგზე გაქვთ ვარაუდი?

– 30.000 ტონაზეც რომ გავჩერდეთ, გააჩნია, წელიწადში რამდენს მოიპოვებ. მარაგი, შესაძლოა, 10 წელიწადში ამოწურო ან ეს პროცესი 20 წელიწადსაც გაგრძელდეს. ყველაფერი მსოფლიო ბაზრის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული. ჩინეთში ანტიმონიუმის მარაგის 17 პროცენტი არალეგალურ, გარემოს დამაბინძურებელ მაღაროებზე მოდის. ჩინეთის მთავრობამ მათ ბრძოლა გამოუცხადა. გლობალურ ბაზარზეც ჩინური ანტიმონიუმის ექსპორტიც მცირდება – აზიელები ადგილობრივ მარაგს საკუთარი ინდუსტრიალიზაციის საკვებად ინახავენ. ანტიმონიუმი 2002 წლიდან რამდენჯერმე გაძვირდა. 21-ე საუკუნის დასაწყისში ერთი ტონის საბაზრო ფასი 2000 დოლარი იყო, 2011 წლისთვის 15.000-ს მიაღწია. დარწმუნებული ვარ, 2020

წლისთვის, როცა ჩვენი წარმოება სრულმასშტაბიანი გახდება, 20.000 დოლარს მიაღწევს. ერთი წლის წინათ შემეძლო მეთქვა, ნახევარი მილიარდის მარაგი გვაქვს-მეთქი. ახლა უფრო მეტი გამოდის. ანტიმონიტი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს — არასდროს მარტო, ყოველთვის მოჰყვება სხვა ელემენტს. ჩვენ შემთხვევაში — ოქროს. მართალია, მისი შემცველობა ცოტაა, თუმცა, შეიძლება მუშაობა. ჯერ არ დაგვითვლია, რა შემცველობისაა, რადგან ჩვენი პრიორიტეტი ანტიმონიტი იყო. ახლა კვლევა გრძელდება და მალე გვეცოდინება, ოქროს რა რაოდენობა ვივარაუდოთ. ეს ანტიმონიტზე დამატებითი ბონუსი იქნება.

— ზოფხითოში ახლა რა მდგომარეობაა?

— 2011 წლის ზაფხულში პირველად ავედი ინგლისელ გეოლოგთან ერთად. რადგან ხიდი ჩანგრეული იყო, საბადომდე რვა კილომეტრი ფეხით ვიარეთ. ვნახეთ გაუდაბურებული მიდამო — ჯიხვები და არჩვები ჩამოდიოდნენ მჟავე წყლების დასალევად. ალპური ზონაა. სამ ათას მეტრამდეა. ყოველ ზაფხულს სამუშაოებს გზის გაწმენდითა და ბანაკის განახლებით ვიწყებთ. პირველ წელიწადს ძირითადად 18 კილომეტრი გზის გაწმენდასა და ხიდების მშენებლობაზე დავხარჯეთ დრო. ორი თუ სამი კარავი გვქონდა, 20-მდე კაცი მუშაობდა. მეორე წელს სამხედრო კარვები გავშალეთ, ერთი ძველი შენობა აღვადგინეთ სასადილო-სამზარეულოსთვის, შარშანწინ კოტეჯები ჩავდგით და ახლა იქაურობა პატარა სოფელს დაემსგავსა. 24 საათის განმავლობაში გვაქვს შუქი, ცივი და ცხელი წყალი, ტელევიზორიც. სხვა პრობლემებსაც მალე მოვაგვარებთ.

— გვირაბებზე რას იტყვით?

— მათი უმეტესობა სტალინის მმართველობის პერიოდშია გაყვანილი 1930 წლიდან. მდგრადობა მყარი და საიმედოა, ისე მკვიდრად არის გაკეთებული. ამდენად, იქ მუშაობა აბსოლუტურად უსაფრთხო იქნება. გვირაბების საერთო სიგრძე 21 კილომეტრამდეა. დამატებითი გვირაბების გაყვანა აღარ მოგვიწევს. რადგან საკმარისი რაოდენობაა. კვლევების დასასრულებლად ბურღვითი სამუშაოები თუ დაგვჭირდება.

— ადგილობრივი მოსახლეობა როგორ შეხვდა თქვენს წამოწყებას? ეკოლოგიური სირთულეები ხომ არ შეიქმნება?

— საბადომდე სამი სოფელია — ჭიორა, ღები და თევრეშო. უფროსი თაობის წარმომადგენლები უწინ მუშაობდნენ ამ საბადოში და ყველაფერი კარგად იციან. ჩვენი პროექტი მთელი სიმძლავრით რომ ამოქმედდება, ფაქტობრივად, მთელ ზემო რაჭას დავასაქმებთ. რაც შეეხება გარემოს დაბინძურებას, რაჭის ნიადაგი ცნობილია დარიშხანის დიდი შემცველობით. 30-იან წლებში გაყვანილი ღია გვირაბებიდან წვიმებისას დარიშხნიანი წყალი ჟონავს და მდინარე ზოფხითურაში ჩადის, ამიტომ მასში წლებია, თევზი ვერ ხარობს. საბადოში სამუშაოებს რომ დავიწყებთ, პრევენციის ნორმები იმდენად ხარისხოვანი და მაღალი იქნება, რომ მდინარეში დარიშხანის ჩადინებას შევაჩერებთ და ზოფხითურაში სიცოცხლე ისევ დაისადგურებს.

— მადნის გადასამუშავებლად ქიმიური ქარხნის მშენებლობას ხომ არ აპირებთ?

— ეგრეთ წოდებული სმელტერის ქარხანა ქიმიურად ამუშავებს მადანს და 99.99 პროცენტ ანტიმონიტს იღებს. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ მის მშენებლობას, იმის მიუხედავად, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით ესეც არ არის დღეს ეკოლოგიურად საშიში, რადგან ევროკავშირის სტანდარტებს აკმაყოფილებს. უფრო უსაფრთხო ფლოტაციის ქარხანის ჩადგმას ვგეგმავთ ნახევრადკონცენტრატების მისაღებად. ჩვენი მიზანია, საექსპორტოდ მაღალი შემცველობის მადანი გავგზავნოთ.



კახა და ლიზი კუჭავებს სამი შვილი ჰყავთ...

— თუ ეს მადანი ოქროსაც შეიცავს, რამდენად მომგებიანი იქნება მისი გადაუმუშავებლად გაყიდვა?

— მადანში ოქროს შემცველობა თუ დამტკიცდება, მაშინ ექსპორტისას ანტიმონიტის ღირებულებას ოქროს ფასიც დაემატება. დარწმუნებული ვარ, მადანში გარკვეული რაოდენობით ვერცხლის შემცველობაც იქნება. ცხადია, ბიუჯეტში მოსაკრებელს გადავიხდით იმ რაოდენობით, რა მარაგებიც იქნება დამტკიცებული. ასე რომ, ქვეყნის ბიუჯეტს დამატებითი შემოსავლები ექნება. რვა ოქტომბრის არჩევნებზე „ოცნების“ გამარჯვება არც გვეეჭვება, ამიტომ მომავალ პარლამენტში ამ სექტორის რეფორმირებაზე აქტიურად ვიმუშავებთ. დღეს jorc-ის სტანდარტით ვმუშაობთ. ეს არის წიაღისეულის მოპოვების ავსტრალიური საერთაშორისო სტანდარტი. საქმიანობის სრულ მოდერნიზაციას ვაპირებთ, რათა ჩვენს პროექტში ინვესტორებისთვის ინვესტიციების ჩადება უფრო მიმზიდველი გახდეს.

— პიროვნებამ, რომელიც ასე ღრმად არის ჩაფლული სამთამადნო ბიზნესში და ფრიად საინტერესო გამოწვევებს ელის, პარლამენტარობა რატომ გადაწყვიტა?

— სანამ კერძო ბიზნესს დავიწყებდი, საქართველოში განხორციელებულ რიგ რეფორმებში ვმონაწილეობდი, ბევრ კერძო კომპანიასთან ვიმუშავე, ექვსი წელია, ჩემი კომპანიები მაქვს, ამიტომ კარგად ვხედავ იმ პერსპექტივებს, ჩვენს ქვეყანას რომ გააჩნია. მრავალწლიანი გამოცდილებით, კიდევ უფრო მობილური და ინვესტორებისთვის მიმზიდველი და ადგილობრივი მეწარმეებისთვის ხელშემწყობი რეფორმების გატარება მსურს. ვარ კორპორაციული მართვის ერთ-ერთი იშვიათი ექსპერტი საქართველოში. უწინაც მქონდა გეგმები, რა შეიძლებოდა უკეთ გაკეთებულიყო. ბატონი გიორგი კვირიკაშვილი ეკონომიკის მინისტრი რომ იყო, ბევრი გვისაუბრია ამ რეფორმებზე და მისგან ყოველთვის ვგრძნობდი მხარდაჭერას. ჩემი გადაწყვეტილების მთავარი მიზანი ბატონი გიორგის გუნდში მუშაობაა. პრემიერ-მინისტრი თუ მიიჩნევს, რომ ამ გზით ქვეყნის აღმშენებლობაში მეტ წვლილს შევიტან, განახლებულ გუნდში ახალგაზრდა სპეციალისტებთან ერთად ჩემი მუშაობა მნიშვნელოვანია. მსიამოვნებს, რომ წლევანდელი წინასაარჩევნო პერიოდი დიდი დაპირისპირებების გარეშე მიმდინარეობს. ეს ყველაფერი დღევანდელი მთავრობისა და ქართველი ხალხის დამსახურებაა. ქვეყანა დემოკრატიული ფორმებით ვითარდება და წინასაარჩევნო პერიოდიც ამის დასტურია.

— ამდენ საქმეზე თავგადაგებული ოჯახისთვის თუ იცლით?

— დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ოჯახს ყურადღებას არ ვაკლებ. ტრადიციად გვაქვს, როცა თბილისში ვარ, შვილებს დილით სკოლასა და ბაღში აუცილებლად მე ვაცილებ. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ საღამოობითაც მათთან ერთად ვიყო. წინასაარჩევნო ციებ-ცხელებამ ცოტა გრაფიკი ამირია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, 8 ოქტომბრის შემდეგ ყველაფერი ჩვეულ კალაპოტში ჩადგება. მეუღლისა და მშობლებისგან დიდი თანადგომა და მხარდაჭერა რომ არ მქონდეს, ძალიან გამიჭირდებოდა. მეუღლე ჟურნალისტია, თავისი საიტი შექმნა, ბევრი უცხოელი მკითხველი ჰყავს, ტურისტული კომპანია ჩამოაყალიბა, რომელიც ტურისტების მიღებაზეა ორიენტირებული. საინტერესო ტურები აქვს.

— წარმატებულ ბიზნესმენსა და მომავალ პოლიტიკურ მოღვაწეს კიდევ რა სფერო იზიდავს?

— სანამ პოლიტიკურ საქმიანობაში ჩავერთვებოდი, როგორც გითხარით, კერძო სექტორში ვიყავი დასაქმებული, საკანონმდებლო საქმიანობაშიც დიდი გამოცდილება დამიგროვდა. რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივის ავტორი და კომერციული ბანკებისთვის კორპორაციული მართვის კოდექსის თანაავტორი ვარ. 2011 წელს თანამოაზრეებთან ერთად დავაფუძნე საქართველოს დირექტორთა ასოციაცია, რომელიც კომპანიების ხელმძღვანელ პირებთან კორპორაციული მართვის სტანდარტების გაუმჯობესებაზე ზრუნავს. პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, გამგეობის წევრი და თავმჯდომარეც ვარ. პროფესიონალ ფეხბურთელთა ინტერესებს ვიცავდით კლუბებთან დამოკიდებულებაში. როგორც ასოცირებული პროფესორი, ლექციებს ვკითხულობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კავკასიის სამართლის სკოლაში, ჯიპაშიც. ჭაბუკობისას „ნორჩ დინამოელში“ ფეხბურთს ვთამაშობდი. არასდროს დამავიწყდება, 1992 წელს ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე რომ ვითამაშე. რამდენიმე წლის წინათ მე და ჩემმა მეგობრებმა ჩამოვაყალიბეთ მინისაფეხბურთო კლუბი „ჯვაროსნები“, რომლის შემადგენლობაში შარშანდლის ჩათვლით გამოვდიოდი. 2015 წელს ბიზნესჩემპიონთა ლიგა მოვიგეთ, ერთ-ერთი ბომბარდირი გავხდი და სეზონის დამთავრების შემდეგ ბუცები კედელზე ჩამოვკიდე. 2009 წელს ჯომარდობაში საქართველოს ჩემპიონი გავხდი.

— თქვენი ჰობი?

— ფოტოგრაფია. შარშან ორი კვირა ვიყავი კუბაში და კინოთეატრ „ამირანის“ ფოიეში ფოტოების პერსონალური გამოფენა მოვაწყვე. რამდენიმე ექსპონატი კიდევ მაქვს გამზადებული ახალი გამოფენისთვის. ალბათ, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მათთვისაც მოვიცლი.

ესაუბრა
ვაჟა დანელია

გვარამია-ახვლედიანის ჩანაწერიდან ქრთამის ნიშნები იკვეთება!

ნიკა გვარამიას და თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარის მამუკა ახვლედიანის სატელეფონო საუბრის შინაარსს კიდევ ერთხელ ეხმაურება „ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი და აცხადებს, რომ საუბარში ჩანს ბატონყმური დამოკიდებულება. მისივე განცხადებით, საუბრის შინაარსიდან გამომდინარე ეჭვი ჩნდება ქრთამზეც. ირაკლი კობახიძე იმედს გამოთქვამს, რომ „რუსთავი-2“-ის საქმე უზენაეს სასამართლოში ანალოგიური დამოკიდებულებით არ განიხილება.

„საუბრის შინაარსიდან გამომდინარე აშკარად ჩანს, როგორია დამოკიდებულება „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელსა და საქალაქო სასამართლოს მაშინდელ თავმჯდომარეს შორის. ჩანს, რომ ეს დამოკიდებულება არის ბატონყმური. შემაშფოთებელია ისიც, რომ როგორც გვარამიამ ბრძანა, საუბარი ჩაწერილია მაშინ, როცა საქალაქო სასამართლოში „რუსთავი 2“-ის საქმე იხილებოდა. გარდა ამისა, ნიკა გვარამია სასამართლოს თავმჯდომარეს პირდაპირ ჰპირდება მატერიალურ სარგებელს და იკვეთება ეჭვი და ნიშნები ქრთამის გადაცემის თაობაზე, რაც აუცილებლად უნდა იყოს გამოძიებული“, — განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი კობახიძემ.

ელისო კილაძე — მკითხავი ვარდუა

„ქრონიკა პლუსის“ რედაქტორი ელისო კილაძე „რუსთავი-2“-ის შენობაში ან ეზოში დღეს ან ხვალ სპეცოპერაციის ჩატარებას აანონსებს.

„საქმე ეხება ყოფილ თანამშრომელს, რომელიც „რუსთავი-2“-დან არის გაშვებული და არსებობს რამდენიმე ვიდეოკადრი, როცა ის ეწევა ნარკოტიკების რეალიზაციას „რუსთავი-2“-ის ეზოს გარეთ. იგეგმება, რომ ეს ფაქტი დაფიქსირდეს და გადაღებული იქნას „რუსთავი-2“-ის ეზოში ან შენობაში და შემდეგ ოპერატიული ინფორმაციისა და აღიარებითი ჩვენებების საფუძველზე, ამ პიროვნების, რომელიც თანამშრომლობს სუს-თან, მოხდეს სპეცოპერაცია „რუსთავი-2“-ის შენობაში, ნარკოტიკების რეალიზატორების დაკავება და „რუსთავი-2“-ის მარგინალიზაცია“, — აცხადებს ელისო კილაძე.

შალვა ნათელაშვილს საკუთარი დაპირებებისაც არ სჯერა



საკუთარი პოლიტიკური სამარის მთხრელი ლეიბორისტული პარტიის ლიდერი მზად არის საარჩევნო ხმების დასაცავად კარვები გაშალოს.

„ხმების დასაცავად ვიბრძოლებთ ბოლომდე, ყველა საშინაო და საერთაშორისო საშუალებით, მათ შორის სახალხო მოძრაობით, მათ შორის ქუჩის პროტესტით, მათ შორის კარვებით, რისიც ეშინია ივანიშვილს. ეს კარვები შეიძლება დაიდგას მისი შუშის სასახლის წინ, თუ ჭკუით არ იქნება და თუ არ დაანებებს თავს არჩევნების გაყალბების მცდელობას და მოწოდებებს, რომ ჩვენ ხმა არ მოგვცენ. გაითვალისწინონ, რომ რაც მეტად გვებრძვის ჩვენ, რაც მეტად გვლანძღავს და ხალხს მოუწოდებს, რომ ხმა არ მოგვცენ — უფრო იზრდება ჩვენი რეიტინგი და უფრო მეტი ამომრჩეველი და მხარდამჭერი გვემატება“, — განაცხადა ნათელაშვილმა.

საარჩევნო დაპირებებზე საუბრისას, ლეიბორისტების ლიდერმა აღნიშნა, რომ დაპირებებმა თავისი დრო ამოჭამა და არის მხოლოდ ვალდებულებები.

„დაპირებებმა ისე ამოჭამა თავისი დრო, დაპირებების ინსტიტუტმა, რომ მე ჩემი დაპირებებისაც კი არ მჯერა, არათუ სხვა პოლიტიკოსების. რასაც ავიღებთ მომავალში ჩვენს თავზე, ეს არის ვალდებულებები“, — წაიყეფა-წაიწავწკავა დემაგოგმა ნათელაშვილმა.

არა, არა ძვირფასო მკითხველო! — ქვეყანა, რომელიც 20 წელიწადია ნათელაშვილის ბჟუტურს ისმენს, კიდევ კარგად არის!

ჯუანშერ შალიკაძე

აღმაშენებლის №138-ში მდებარე უძრავი ქონება 9 840 250 ლარად გაიყიდა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 9 840 250 ლარად ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე №138-ში მდებარე უძრავი ქონება შპს „სი ი ეფ სი“-ს გადასცა, – აცნობეს მედიანიუსს ეკონომიკის სამინისტროდან.

კომპანია აღნიშნულ უძრავ ქონებაზე ევრაზიული ქვეყნების საინვესტიციო და თანამშრომლობის სათაო ოფისის მოწყობას გეგმავს. ასევე, შეიქმნება ჩინურ-ქართული კულტურის ცენტრი. აღნიშნული მიმართულებით კომპანია 3 500 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს, სადაც დასაქმდება 50 ადამიანი. ამასთან, კომპანია უზრუნველყოფს შენობის ისტორიული და კულტურული იერსახის შენარჩუნებას.

ახალი ჭივჭივა უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად

საქართველოს საზღვაო სივრცეში უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ „საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური“ თანამედროვე სანავიგაციო ტექნოლოგიების იმპლემენტაციას ახორციელებს, რომლის ფარგლებში ყულევის ნავთობტერმინალის პორტის აკვატორიაში მრავალ ფუნქციური ოკეანოგრაფიულ მეტეოროლოგიური ტივტივა განთავსდა, – აცნობეს მედიანიუსს ეკონომიკის სამინისტროდან.

მრავალ ფუნქციური მეტეოროლოგიური ტივტივა თანამედროვე სანავიგაციო ტექნიკის მწარმოებელი ცნობილი ესპანური კომპანიის MSM SLL მიერ არის დამზადებული. ტივტივა ზუსტი მონაცემებით ახდენს წყალქვეშა დინებების ტემპერატურის, სიჩქარისა და მიმართულებების ასახვას, ასევე მაღალი სიზუსტით გადმოგვცემს ინფორმაციას ზღვის რყევის ცვალებადობის შესახებ.

ყულევის პორტის აკვატორიაში განთავსებული ახალი მეტეოროლოგიური აპარატურა აღმოფხვრის საზღვაო ინცინდენტებისა და საფრთხის რისკებს, რომელიც ყულევის პორტში ნავთობ-ტანკერების ბუქსირით გადაადგილების დროს წყალქვეშა დინებების მახასიათებლების შესახებ ზუსტი მონაცემების არარსებობის გამო იქმნებოდა.

დასრულდა 7-კილომეტრიანი გზის რეაბილიტაცია

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გუმბათი-ხირსა-ენამთა-სამთაწყარო-საბათლოს საავტომობილო გზის 7-კილომეტრიანი მონაკვეთის რეაბილიტაცია დაასრულა. რეაბილიტირებული საგზაო მონაკვეთი საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე გიორგი სეთურიძემ დაათვალიერა.

აღნიშნული საგზაო მონაკვეთი კახეთის რეგიონში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის. პროექტის ფარგლებში დაიგო ასფალტ-ბეტონის საფარი, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სახიდე გადასასვლელსა და ხელოვნურ ნაგებობებს. უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად მოეწყო საგზაო ნიშნები, ზღუდარები, მიმმართველი ბოძკინტები. მოინიშნა გზის სავალი ნაწილი. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 2 600 000 ლარი შეადგინა.

– რით შეუძლიათ უცხოელებს ამერიკიდან და ევროპიდან, თავიანთი წვლილი შეიტანონ იმაში, რომ აფხაზეთში ვითარება გამოსწორდეს?

– აფხაზეთი ღიაა მთელი მსოფლიოსთვის, ჩვენ არ ვცდილობთ იზოლირებას ვინმესაგან – იქნება ეს ევროპა, ამერიკა თუ აფრიკა. პრობლემა ის არის, რომ პრაქტიკულად მთელი დანარჩენი მსოფლიო განგვიხილავს საქართველოს პრიზმაში, სხვა ქვეყნის ნაწილად, რაც სავსებით არ შეესაბამება სინამდვილეს. და ეს არ არის ევროპისა და ამერიკის რიგითი მოქალაქეების ბრალი, ეს ამ ქვეყნების ხელმძღვანელობების მიერ პოლიტიკური რეალობის მიზანმიმართული იგნორირებაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ნაკლებად გვიცნობენ დასავლეთში, ჩვენი წარმომადგენლები ევროპის ბევრ ქვეყანაში დიდ სამუშაოს ატარებენ ჩვენი სახელმწიფოს იმიჯის პოპულარიზაციისა და საქართველოს მიერ შექმნილი სტერეოტიპების მსხვრევისათვის.

გვსურს, ამერიკისა და ევროპის მცხოვრებლებმა დაინახონ, რომ ჩვენ დამოუკიდებელი, მშვიდობიანი სახელმწიფო ვართ, მშვიდობისმოყვარე ხალხით, ლამაზი ბუნებითა და არცთუ მცირე ეკონომიკური პოტენციალით.

– რომელი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას დღეს აფხაზეთის მოსახლეობა?

– უნდა გვესმოდეს, რომ თანამედროვე აფხაზეთი საკმაოდ ახალგაზრდა სახელმწიფოა, რომელიც ჯერ მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს. ასევე მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ ჯერ კიდევ 1992-1993 წლებში საქართველო მზაკვრულად შემოიჭრა ჩვენთან და ჩვენს მიწაზე სისხლისმღვრელი ომი გააჩაღა. ჩვენ ბევრი გმირი დავკარგეთ იმ ომში, ინფრასტრუქტურა პრაქტიკულად განადგურდა, მრავალი წლის განმავლობაში ბლოკადაში ვცხოვრობდით და ყველაფერმა ამან, უდავოდ, ასახვა ჰპოვა ხალხსა და მთლიანობაში სახელმწიფოზე. სადღეისოდ აფხაზეთში ცხოვრება ნელ-ნელა ნორმალურ კალაპოტს უბრუნდება. იქმნება მეტი სამუშაო ადგილი, წამოიზარდა ახალი თაობა, რომელიც მზადაა, მთელი თავისი ძალა და ცოდნა აყვავებული ქვეყნის მშენებლობას მოახმაროს. რა თქმა უნდა, ჩვენ, ისევე, როგორც ნებისმიერ სახელმწიფოს, გვაქვს შიდა უთანხმოებები, თუმცა ჩვენ მათ ვუმკლავდებით. უნდა აღვნიშნო, რომ მეზობლად გვყავს მტრული სახელმწიფო, რომელიც ხელსაყრელ მომენტს ელის თავდასასხმელად. ჩვენ ამ დრომდე ვერ მივაღწიეთ საქართველოსთან ძალის არგამოყენების შესახებ შეთანხმების ხელმოწერას და, ფაქტობრივად, მასთან საომარ მდგომარეობაში ვიმყოფებით.

თუმცა მთავარი ისაა, რომ გვყავს მეგობრები და პარტნიორები. ეს, უპირველესად, რუსეთის ფედერაციაა, რომელიც ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში უსაფრთხოების გარანტად გვევლინება, ჩვენს სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების მიმართულებით ეხმარება და, გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ რუსეთი ჩვენი მეგობარი და სტრატეგიული პარტნიორია.

– დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ პრიორიტეტია აფხაზეთისთვის, თუ შიდა საკითხებმა (პრობლემებმა) აინაცვლა მნიშვნელობით პირველ ადგილზე?

– საერთაშორისო დონეზე დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ აღიარება იყო და რჩება საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად. ჩვენ არ ვყოფთ საგარეო პოლიტიკისა და შიდა პროცესების მნიშვნელობას, რადგან ისინი მჭიდრო ურთიერთკავშირშია.

– აფხაზეთის რომელ ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებს გამოყოფდით ომის შემდგომი 23 წლის განმავლობაში?

– არაერთი მიღწევა გვაქვს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტია, რომ მოვახერხეთ, აგვეშენებინა რეალურად დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფო. ის, რაც აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით გამყარდა, თანმიმდევრულად სრულდება. ჩვენ ვატარებდით საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს საერთაშორისო დამკვირვებლების მეთვალყურეობით, სრულიად გამჭვირვალედ ტარდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. ამას ძალზე მნიშვნელოვან მიღწევად მივიჩნევთ თანამედროვე მსოფლიოში, სადაც ხშირად სიტყვა „დემოკრატია“ მხოლოდ ქაღალდზე რჩება, ფაქტობრივად კი ბევრი რამ სამხედრო ძალით და ფინანსური ლობირებით წყდება.

– რა გეგმები აქვს აფხაზეთის მთავრობას აფხაზური ენის გადასარჩენად? როგორ გეგმავთ მის ქცევას აფხაზური ცხოვრების ნაწილად?

– აფხაზური ენის პრობლემა მართლაც მწვავედ დგას ჩვენს საზოგადოებაში. აფხაზური ენის მნიშვნელობის აღორძინებისა და გამოყენებისთვის როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე საქმიან ურთიერთობაში აქტიური მუშაობაა საჭირო. სადღეისოდ უამრავი პროექტი გვაქვს, აფხაზური ენის განვითარებაზე მიმართული. ძირითადი სამუშაო ამ სფეროში ბავშვებზეა ორიენტირებული. დაგეგმილია 24-საათიანი საბავშვო ტელეარხის შექმნა, რომელზეც საბავშვო ფილმები, გადაცემები და მულტფილმები გავა, ასევე აფხაზურ ენაზე საკუთარი, მულტიმედიური პროდუქციის შექმნა. ვგეგმავთ, ვთარგმნოთ ყველა ჰუმანიტარული საგანი სკოლებში აფხაზურად. ბუნებრივია, ყველაფერი ეს ეტაპობრივად განხორციელდება და საკმარისად დიდ დროს წაიღებს.

– იმის გათვალისწინებით, რომ ჰილარი კლინტონმა შესაძლოა, აშშ-ის მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვოს, ასევე საქართველოსთან მისი ახლო ურთიერთობების ფონზე რას შეიძლება ნიშნავდეს ეს აფხაზეთის მოსახლეობისა და ზოგადად აფხაზეთის მომავლისთვის?

– ძნელია, ვიმსჯელოთ იმაზე, რაც ჯერ არ მომხდარა, თუმცა კლინტონის გამარჯვების შანსი ძალზე მაღალია. როგორც გესმით, ჩვენ არ გვაქვს ოფიციალური ურთიერთობები აშშ-სთან, გვაქვს გარკვეული კონტაქტები, თუმცა ისინი ძირითადად ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების ფარგლებში შეხვედრებით შემოიფარგლება. ამავე დროს, აფხაზეთის მიმართ აშშ-ის პოლიტიკა მცირედით განსხვავდება იმისაგან, რომელსაც ევროკავშირი ატარებს. მაგალითად, ვიზების გაცემის საკითხში აფხაზეთის იმ მოქალაქეებისათვის, რომელთა საზღვარგარეთის რუსული პასპორტები აფხაზეთში რუსეთის საელჩოს მიერაა გაცემული, აშშ-ს უფრო პრაგმატული დამოკიდებულება აქვს – ის უარს არ ამბობს ვიზების გაცემაზე, განსხვავებით შენგენის ხელშეკრულების ქვეყნებისგან.

რაც შეეხება კონკრეტულ პიროვნებას, ვერ გამოვრიცხავთ, რომ აშშ-ის პრეზიდენტის თანამდებობაზე კლინტონის მოსვლამ საკმაოდ ხისტი შედეგები იქონიოს არა მარტო აფხაზეთისთვის, არამედ მთლიანად რეგიონისთვის. ჰილარი კლინტონი წარსულში სახელმწიფო მდივანი იყო და საერთაშორისო სფეროში მუშაობის გამოცდილება აქვს. ამგვარად, შეიძლება, ჩვენი რეგიონისადმი აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის დამატებით ყურადღებას ველოდოთ.

თუ ვისაუბრებთ აშშ-საქართველოს მეგობრობაზე, ეს უკვე შემდგარი, გამყარებული პოლიტიკაა, რომელიც ნაკლებად თუ შეიცვლება ერთი პიროვნების დონეზე. ალბათ, არ უნდა ველოდოთ, რომ საქართველოს კონტექსტში აფხაზეთთან მიმართებაში აშშ-ის საგარეო პოლიტიკური ვექტორი შეიცვლება. აფხაზეთის აღიარების მიმართულებით აშშ-ის პოლიტიკა, როგორც ჩანს, უცვლელი დარჩება, საქართველო კი სამომავლოდაც გაგრძელებს ეკონომიკური და სამხედრო დახმარების მიღებას. თუმცა იგივე ეხება საქართველოს მომავალს ნატოში – ნაკლებ სავარაუდოა, მას თვალსაწიერ მომავალში წევრობის სამოქმედო გეგმა შესთავაზონ.

რაულ ხაჯიმბა:

საქართველო მზაკვრულად შემოიჭრა აფხაზეთში?

„აქცენტი“ ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას მიერ გამოცემა Abkhaz World-ის ჟურნალისტ სოფი როიალისთვის მიცემული ექსკლუზიური ინტერვიუს თარგმანს გთავაზობთ.

– საქართველოში ბევრი თვლის, რომ რუსეთი აფხაზეთის კოლონიზირებას ახდენს. რისი თქმა შეგიძლიათ ამასთან დაკავშირებით?

– რა თქმა უნდა, არანაირ კოლონიზაციაზე საუბარი არ არის და ამაზე ლაპარაკი აბსურდია. აფხაზეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია რუსეთთან თავდაცვის, უსაფრთხოების, კადრების მომზადების, ეკონომიკის სფეროებში ურთიერთქმედების მაღალი დონე. ამ დროს აფხაზეთი დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ რჩება – და ეს უმთავრესია. ჩვენ რუსეთის ფედერაციის რეგიონებთან ძველისძველი ეკონომიკური და ადამიანური კავშირები გვაქვს: ესაა კრასნოდარის მხარე, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები. რა თქმა უნდა, ჩვენ ვგეგმავთ, არა მარტო გავაგრძელოთ, არამედ გავაღრმავოთ ჩვენი ურთიერთობები არაერთ სფეროში, მათ შორის – ეკონომიკის, კულტურის, განათლების და ტურიზმის მიმართულებით.

– თუ აქვს თქვენს მთავრობას რაიმე სერიოზული გეგმა აფხაზეთში უცხოური ინვესტიციებისა და ბიზნესის მოსაზიდად, გარდა რუსულისა და თურქულისა?

– საინვესტიციო მიმზიდველობის საკითხი ძირითადად კაპიტალში ინვესტირებისთვის მზარდი მსოფლიო კონკურენციის პირობებში ჩვენთვისაც აქტუალურია. ჩვენ ინვესტიციებისთვის ღია ქვეყანა ვართ. აფხაზეთში უკვე დღეს არიან წარმოდგენილები რიგი სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთის, ჩინეთის, იტალიის, ყაზახეთის, თურქეთის, ბელორუსის სამეწარმეო წრეების წარმომადგენლები. მოლაპარაკებათა სტადიაზეა რიგი მსხვილი საინვესტიციო პროექტები ჩინეთიდან, ისრაელიდან, იტალიიდან. საინვესტიციო მიმზიდველობის კუთხით საქმიანი კლიმატის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ამჟამად ვატარებთ ღონისძიებებს ძირითადი შემაფერხებელი ფაქტორების გამოსავლენად. ეკონომიკის სამინისტროს ჩატარებული აქვს შესაბამისი კვლევები, მზადდება რიგი კანონპროექტებისა ბიზნესის წარმოების გასამარტივებლად. შექმნილია ასევე სპეციალური საინვესტიციო სააგენტო, რომელიც მოწოდებულია, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ინვესტორებს.

– რას ფიქრობთ ფსოუზე საზღვრის შესაძლო აღებაზე?

– საზღვრის აღებაზე საუბარი არ არის. ჩვენ ვმუშაობთ რუს კოლეგებთან ფსოუს სასაზღვრო-საკონტროლო პუნქტზე საზღვრის კვეთის გამარტივებაზე, ვინაიდან ჩვენს ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს და ყოველდღიურად საზღვარს უამრავი ადამიანი კვეთს.

– რა არის ყველაზე რთული არაღიარებული სახელმწიფოს და მთავრობის ცხოვრებაში?

– აფხაზეთი აღიარებული სახელმწიფოა. ჩვენ გაეროს წევრმა 6-მა ქვეყანამ გვაღიარა, მათ შორის – რუსეთის ფედერაციამ, რომელიც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია.

ჩვენ იგივე სირთულეები გვაქვს, როგორიც ნებისმიერ სხვა თანამედროვე დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოს. რა თქმა უნდა, იმედგაცრუებულები ვართ აფხაზეთის მიმართ ორმაგი სტანდარტების გამოყენებით. მაგალითად, აფხაზური პასპორტების არაღიარება არღვევს აფხაზეთის მოქალაქეების უფლებებს, თავისუფლად დატოვონ საკუთარი ქვეყანა და დაბრუნდნენ მასში. ამასთან, მსოფლიოში არსებობს პრეცედენტები, რომ საერთაშორისო დონეზე არაღიარებული სახელმწიფოების, მაგალითად პალესტინის, კოსოვოს, ჩრდილოეთ კვიპროსის მოქალაქეები იყენებენ საკუთარ პასპორტებს, რომელიც აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. იგივე ეხება ვიზების გაცემაზე უარის თქმას ჩვენი მოქალაქეებისათვის, რომელთაც ტურისტული მიზნით ევროპის ქვეყნების მონახულება სურთ, ჩვენი საცეკვაო კოლექტივებისთვის, ფეხბურთელებისთვის, ჩვენი სტუდენტების ძალისმიერ აღებას საერთაშორისო გამოფენებზე და ბევრ სხვას. აი, რაშია არაღიარების ნაკლი, თუმცა ისინი არა ჩვენი, არამედ უფრო საერთაშორისო თანამეგობრობისაა, რომელიც არ არის მზად, მიიღოს ახალი, თუმცა დიდი ხნის შემდგარი სახელმწიფო.

– საკმარისია თუ არა რუსეთის დახმარება და თუ არა, კიდევ რა არის საჭირო?

– რუსეთის ფედერაცია, როგორც მოკავშირე და მთავარი სტრატეგიული პარტნიორი, ჩვენი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც საქართველოს სამხედრო აგრესიის დამანგრეველ შედეგებს უკავშირდება, დახმარებას გვიწევს და ჩვენ დიდად მადლიერები ვართ. თუმცა, ამასთანავე, ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ თვითკმარი ეკონომიკის მშენებლობისთვის. ჩვენს შემთხვევაში საუბარია იმ კონკრეტული უპირატესობების მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენებაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანას საკმარისი რაოდენობით აქვს.

გოდება სანგრებთან

ჟურნალისტის ნანახი და განცდილი

...**გვარიანად** მძიმე იყო ჩანთა, რეჯებმა მანქანის საბარგულიდან რომ ამოიღო და „მშვიდობისმყოფელთა“ ოფისისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა აუჩქარებელი ნაბიჯებით. სიფრთხილეც ემჩნეოდა ამ ნაბიჯებს და თავდაჯერებაც. ქაცვნარსმოფარებულ მანქანაში ორნი დავრჩით, — საჭესთან „დაბალი“ იჯდა, უკანა სავარძელში კი მე. იგი კვლავინდებურად, ხმას არ იღებდა. იქ, ოფისთან, იარაღებიანები მიმოდიოდნენ კანტიკუნტად...

...დილით კი, ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, რეჯების ეზოს ჭიშკართან მანქანის „ჭყვიტინი“ რომ გაისმა.

— რა, გოჭივით ჭყვიტინებს, ეს უბედური... — ჩაიღიმილა რეჯებმა და ბოდიში მოგვიხადა, — ჯობია ადრიანად გავიდეთ... ნაშუადღევს „სმენაში“ „ჩვენი ხალხი“ იქნება ოცარცეზე...

ოდის პირველ სართულზე „კოჭობი“ ენთო უკვე. რეჯებმა, ერთი წუთიო, თქვა და „კოჭობიან“ სარკმელთან მივიდა.

— დე, მივდივართ, უკვე!..

— უფალმა გატაროთ მშვიდობით!.. სტუმრებს საუზმე მაინც მიერთმიათ... უხემსოდ როგორ შეიძლება გზაზე დადგომა!.. — ფანჯრის იქიდან მიუგო რეჯებს ქალის ხმამ.

— რეჯების დედაა, უბედური... არ გეწყინოს, ბაბა!.. იმ დღიდან უცხო სტუმართან არასოდეს გამოჩენილა გაუბედურებული დედა... — თითქოს ეზოს შუაგულში მდგარ კაკლის საუკუნოვან ხეს ებაასებაო, თქვა ბაგრატ ბიძიმ.

— გზაში წავიხემსებთ, დე, რამეს... მიმაქვს საგზლად, მცირე რამ... — დაამშვიდა რეჯებმა დედა და მხარზე ჩანთა-გადაკიდებული ჩვენსკენ გამოემართა.

...ტრასიდან მარცხნივ გადავუხვიეთ და ერთ დროს ასფალტმოფენილ სოფლის შარას ავუყევით გორა-გორა. აღმოსავლეთიდან ამომავალი მზის შორეული ათინათი აბაცებდა მიდამოს. ზაფხულის პაპანაქება თანდათან ეფინებოდა საქართველოს ძირძველ მიწას.

ბაგრატ ბიძის ეზო-კართან მარტოხელა „სეტერი“ მოაწყდა ჭიშკარს.

გადაირია ერთგული ცხოველი პატრონის დანახვაზე და თარჩია გამართა კოინდარით ამწვანებულ მინდორზე.

— ჰო, კი... მოვედი, მოვედი... არ გადაირიო ახლა!.. — მიეხმიანა ბაგრატ ბიძი და აბღორტებულ ძაღლს მკერდში იხუტებდა, — ჰე, მაცალე, ახლა... ავხსნა ეს „წირღი“ კარებს... შემოვუშვათ სტუმრები... ჰე, ნუ გადაირიე!.. — მიელაციცა ბაგრატ ბიძი „სეტერს“ და ახლა მე ჩამივარდა „სეტერი“ ფეხებში.

ეზოში ეულად იდგა „გრადსგადარჩენილი“ ჯარგვალი და ოდის ნანაღვერდალს წარბებშეყრილი გაჰყურებდა. ეზოს ბოლოში ბზის თეთრი ჯვარი ტყის მუქ ლურჯ ფონზე ბიბლიურ სალოცავად აღმართულიყო...

უჩუმრად აშრიალებდა დილის ნელი სიო სიმინდის ლურჯსავე „ზღვას“.

სოფელი ხელისგულივით ჩანდა აქედან. აქა-იქ, გატიალებულ ეზო-კარს ნალევი ბუხრები დარაჯობდნენ. შემორჩენილი ოდების დარაბები აეჭედა ვიღაცის მზრუნველ ხელს, ნალიების ოჭკორიებად დატოვებული ღრიჭოებიდან სიმინდის ტაროები ჩანდა. თხმელისა და ხურმის ტოტები დაებარდა „ადესას“.

— სიმშვიდე იყო, ბაბა, ამ ბოლო ხანს... შარშანაც და შარშანწინაც კი გადმოდიოდნენ მეზობლები ენგურს გაღმიდან, მარა... აწი ვერ გადმობედავენ, ალბათ... ანდა რას გაბედავენ? წელს კვლავ ატეხეს თოფების სროლა და... ავიღე მოსავალი და ნალიაში დავაბინავე... „ადესა“ ჩიტმა და შაშვმა მიაკენკა ტოტებს... თუ ჩამოვლენ, დახვდებათ, არ დაეკარგებათ, ეს მაინც... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა ბაგრატ ბიძი და ამასობაში ჭიშკარი ფართოდ გააღო. მანქანა ეზოს გარეთ დავტოვეთ მაინც. ბაგრატ ბიძის ჯარგვალში არც მივუწვევივართ, თვითონ შევიდა მხოლოდ. ცოტა ხანში „ადესით“ სავსე დოქი გამოიტანა და მერე დიდხანს ვიდექით მუხლმოყრილები, თეთრი ჯვრით დადარდიანებული საფლავის კიდესთან, სადაც არზაკონის ჩემთვის უცნობი მეუღლის ნეშტი და დესპინე ბიცოლას და ცაბუს სული სიმბოლურად განისვენებდნენ ახლა... საფლავთან, რომელსაც თალხით შეემოსა ჩვენი სულებიც...

უსაშველოდ მომრავლებულიყო საერთო საწუხარი ენგურის გაღმა-გამოღმა!

უსაშველოდ მრავალი იყო წმინდა საფლავები ჩვენს მამულში ოდითგან, ოღონდ მაშინ ძიძა — მორდუობისა და ძმობა-სიკეთის ორნამენტი აჩუქურთმებდა მათ!..

ჩემი ძვირფასი დაია ლეილა ქირთ-ბაია მომიყვა ერთხელ:

აფხაზეთის ერთი დიდი თავადის, ინალიფას ოჯახს შვილი არ ჰყოლია, თურმე დიდხანს. ეს იყო მათი საწუხარი უსაშველო. მერე ღმერთს შთაუგონებია, — ეშვილათ ღირსეული შთამომავალი. არ უფიქრიათ ინალიფებს დიდხანს. მალე თოფების სროლით, ზარითა და ზეიმით ჩამოუბრძანებიათ ენგურს გაღმიდან ანგელოზი და იმედი ოჯახისა. ერთი კვირა იყო გაშლილი ინალიფების ოჯახში სუფრა დიდებული. უკრავდა ჩონგური, ლარჭემი, იყო დიდება და ბედნიერება, იყო „კუჩხი ბედინერი“ და „ვოისა რაიდა“ და მიდიოდა ცხოვრება ლამაზად. მერე, როგორც ხშირად ხდება ხოლმე საკუთარი ვაჟი შეეძინა ინალიფების ოჯახს. კვლავ გაშლილა ლხინი გუდაუთას და ლიხნს... მერე, ინალიფას, გვარი და დიდება დაუნათლავს თავისი მორდუსათვის და ასე გაჩენილა გვარი — „ქართ-ბაია“ — „ქირთ-ბაია“ — „შვილი ქართველი“ — „ქართველის შვილი“!! მერე აღორძინებულან ქირთბაიები მთელს საქართველოში. ლიხნის ერთ-ერთ სასაფლაოს კი შემორჩენია ეპიტაფია:

„საფლავსა ამასა შინა ვარ მდებარე, ნუთუ იყოთ ვინმე ჩემი მცნობარე, მზემან ჩემმან დღე ვერ ნახა მთბენარე, ცოლ-შვილსა ოხრად დამამთბობარე ტაგუ ბალუხუხის ძე ვიყავი მხმობარე, გვარად ქირთბაია, შარაშიძის მხლებელი, შობიდან ორმოცი წლის და აწ მიწად მდებარე. გევედრებით ღმერთს მავედროთ სამოთხის მკვიდრობამდე...“

...აქ, ბაგრატ ბიძის ეზოში წარწერა არ სჭირდებოდა საფლავს, — თეთრი ბზის ჯვარი თვითონ ამბობდა სათქმელს. ბაგრატ ბიძი იყო ეპიტაფია უმაგალითო!.. სადღაც შორს, საუკუნეთა გადაღმა კი, ზღვის ტალღების საუფლოში „შიშნანს“ უგალობდა მუჰაჯირი, უბედური დედა კალთაში ჩაწვენილ მკვდარ შვილს...

დიდხანს ვიდექით პირისპირ ბაგრატ ბიძი და მე, და ჩუმად, უსიტყვოდ ვემშვიდობებოდით ერთმანეთს.

— ისევ გინახულებთ, ბაგრატ ბიძი... იქნებ თქვენც გადმოსულიყავით ჯვარში!..

— ასეც გავაკეთებ, ბაბა! მარა... ველოდები! მინდა, არზაკონს ღია კარები მაინც დავახვედრო!.. შენ ჩემი არზაკონი გახსოვს?..

— შეცვლილი იქნება, ალბათ... ბალღობის მერე არ მინახავს!..

— ჰო, კი!.. მარა, რომ შეგხვდეს, იცნობ, აუცილებლად...

მენიშნა რაღაც! ბაგრატ ბიძიმ რეჯებისკენ გაიხედა. იგი მანქანასთან იდგა უკვე.

— ერთი დამრჩენია იმედად... იქნებ თქვენსკენ იყოს ჩემი არზაკონი, სადმე... გამოიკითხე, შვილო!.. იქნებ... ღმერთო დიდებულო!.. — თითქმის ჩურჩულით თქვა ბაგრატ ბიძიმ და ილორის წმინდა გიორგის შეავედრა ჩვენი გზა-სავალი.

— აბა, თქვენ იცით, რეჯებ ბაბა! შენ მიგყვება ჩემი გული და თვალი ახლა!..

— ნუ იდარდებ, მშვიდობა იქნება, ბაგრატ ბიძი!.. — თქვა რეჯებმა და მერე კვლავ სოფლის დახეთქილ ასფალტს მიუყვებოდა ჩვენი „ვილისი“. ცენტრალურ ტრასას ვარიდებდით თავს. ქვემოთ ილორი ჩანდა, ოჩამჩირე ჩანდა, გალი ჩანდა, საბერიოს „ზღვას“ ვუვლიდით გარს და საღამო ჟამს, როგორც იქნა მოვაღწიეთ აქამდე...

...ნახევარი საათის შემდეგ რეჯები და „მშვიდობისმყოფელი ოფიცერი“ გამოჩნდნენ ოფისის ეზოდან და რეჯებმა მანიშნა, წამოდიო.

— ნახვამდის, ძმაო! — გამოვემშვიდობე „დაბალს“.

მანქანიდან გადმოვიდა „დაბალიც“. მარჯვენა გამომიწოდა და თვალებში ჩამაქცერდა.

— ბევრი ძმაკაცი მყავდა თქვენსკენ, მეც... ძალიან მინდა მათი ნახვა და ძველებური თარჩია რუხის ციხესთან, მარა...

— წავიდეთ!... შეგხვდებიან კაცურად!...

— ჯერ არა!... მოვა მაგისი დროც და ერთმანეთთან შესახვედრად აუცილებლად გადავივლით ოცარცეს ხიდზე... ნახვამდის!... ვიცნობდეთ ერთმანეთს, მე იმედა მქვია!...

— იმედიანი სახელი გქონია ჩემო იმედა!... თარჩიაზე შევხვდებით რუხის ციხესთან!... — ბაგრატ ბიძის უკვე შეევრიგებინეთ ჩვენ!!

რეჯები შუაგზაზე შემომეგება და გადამეხვია. ასე იციან ძმებმა დამშვიდობებისას.

— იმ ოფიცერთან რომ მიხვალ, მიესალმე... სხვათა დასანახად, შინაურულად გადაეხვიე და გადაკოცნე, ვითომ დიდი მეგობრები იყოთ... ნახვამდის! გვაპატიეთ, საკადრისი პატივი რომ ვერ გეცით... აბა, ჰე!

...ოფიცერს ოფლიან სახეზე მწკლარტე სუნი ასდიოდა.

...ოცარცეს ხიდზე გადმოსულმა კიდევ ერთხელ მოვიხედე უკან. იქით, საბერიოს გზაზე, რეჯები და იმედა იდგნენ ჯერ ისევ. დიდხანს ვუყურებდით ერთმანეთს. ასე შორიდანაც მესმოდა მე მათი და, მჯერა, მათაც ესმოდათ ჩემი...

— „ეჰ, ვალერიანე ცოცხალი რომ ყოფილიყო სხვანაირად წავიდოდა საქმე დღეს!...“ — ჩამესმოდა ბაგრატ ბიძის სიტყვებიც, ოხაჩქუეს მთაზე მდგარმა რომ მითხრა მაშინ...

იმედიანი და გაოცებული თვალებით შემომცქეროდნენ გზაზე შემდგარი მოხუცები, ქალები და ბავშვები...

სევდიანად მოაბაკუნებდა ყავარჯნებს ბერიკაცი თეთრ ხიდზე.

— ხომ არ გვაგვიანდება, ბაბუ? იქნებაო ავტობუსი, რას ამბობენ იქით?

— იქნებაო, ბაბუ, კი, იქნებაო, ამბობენ!...

— აგაშენოთ ღმერთმა!...

...ანაზდად, კვლავ ამეკვიატა დიდი მწერლის სიტყვები: — „ჩუმად, უსიტყვოდ, ვიდოდნენ უცხო მხარეში ამგზავრებული ქართველები!“ — ოღონდ, ახლა ისინი თავიანთი მიწიდან თავიანთი მიწისკენ მიდიოდნენ!...

ზაურ ფიფია.

დასასრული. დასაწყისი იხ. №179-181, 182-184

700 დევნილი ოჯახი გრანტს მიიღებს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსა და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) შეთანხმების საფუძველზე, სამინისტრომ 810 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი მიიღო.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, დევნილთა და განსახლების მინისტრის პირველმა მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ განცხადება გააკეთა. მინისტრის მოადგილის თქმით, პროექტი მიზნად ისახავს უკიდურესად მოწყვლადი კატეგორიის დევნილების შემოსავლის ზრდას, სასოფლო-სამურნეო წარმოებისა და სასურსათო უზრუნველყოფის გაუმჯობესებას.

გრანტის ფარგლებში, სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია ერთობლივად განახორციელებენ ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს — „მოწყვლად იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით“.

პროექტის სამიზნე კატეგორიაში ერთიანდებიან:

მარტოხელა მშობლის ოჯახი მცირეწლოვანი შვილებით;

ოჯახი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე წევრით;

25 წლამდე ახალგაზრდის მიერ მართული ოჯახი;

ხანდაზმული ადამიანის მიერ მართული ოჯახი.

პროექტის ფარგლებში, დევნილებს შესაძლებლობა ეძლევათ ინვესტიციები განახორციელონ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში, მათ შორის, მებოსტნეობაში, მეხილეობაში, მებოცვრეობაში, მესაქონლეობაში, მეფუტკრეობაში, შეიძინონ სასოფლო სამეურნეო ტექნიკა/მექანიზაციის საშუალებები და ა. შ.

პროექტის ფარგლებში მინიმუმ 700 ბენეფიციარი დაფინანსდება, ხოლო თითოეული გრანტის მოცულობა, 2 500 ლარს შეადგენს. ასევე, შესაძლებელია ჯგუფური განაცხადის დაფინანსება, ერთ ჯგუფზე 5 000 ლარის ოდენობით. ჯგუფური განაცხადის გაკეთება შეუძლია მინიმუმ სამ დევნილს, რომელთაგან ორი მაინც ერთიანდება პროექტის სამიზნე ჯგუფში.

პროექტით დაინტერესებულ დევნილებს განაცხადების გაკეთება შეუძლიათ სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში (თბილისი, თამარაშვილის 15ა).

◎ სიმართლე კი ასეთია

„ფიურერთან“ სტუმრობა არ გეგონოთ ხუმრობა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ოლიმპიურ ჩემპიონ ვლადიმერ ხინჩეგაშვილთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს. იგი საქართველოს ყოფილ პრეზიდენტთან, ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილთან ერთად ხინჩეგაშვილის გამოჩენას ეხება.

„პოლიტიკური მიზნებისთვის ცალკეული სპორტული ფედერაციებისა და მოქმედი წარმატებული სპორტსმენების გამოყენების მანკიერმა პრაქტიკამ თავის დროზე სერიოზულად დააზარალა ქართული სპორტი. ოთხი წლის წინათ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სათავეში ახალი გუნდის მოსვლის დღიდანვე ჩვენ კატეგორიულად გავემიჯნეთ სპორტში დამკვიდრებულ მიუღებელ ვითარებას, როცა პოლიტიკური ჯგუფები თუ სხვა არაუფლებამოსილი პირები უხეშად ერეოდნენ სპორტული ორგანიზაციების საქმიანობაში. მკაცრად იქნა დაგმობილი ამ ორი წლის წინათ ზოგიერთი წამყვანი ფედერაციიის გარშემო შექმნილი არაჯანსაღი ატმოსფერო და საარჩევნო პროცესში პოლიტიკოსების, განსაკუთრებით კი — მოქმედი სპორტსმენების, ქვეყნის ნაკრები გუნდების წევრების ჩართვის ღია მცდელობა.

ჩვენ ასევე რეკომენდაცია მივეცით სპორტულ ფედერაციებს და სპორტსმენებს, მოერიდონ პოლიტიკურ პროცესებში დაუფიქრებელ და ნაჩქარევ ჩართვას, რათა, როგორც ეს ადრე არაერთხელ მომხდარა, უხერხულ მდგომარეობაში არ ჩააყენონ არც საკუთარი თავი და არც მთელი ქართული სპორტი, არ გახდნენ პოლიტიკური სპეკულაციების უნებლიე მსხვერპლნი. იმედი გვქონდა, რომ მიმდინარე საპარლამენტო საარჩევნო პროცესში ჩართული პოლიტიკური ძალები მოერიდებოდნენ მერკანტილური მიზნებისთვის სპორტის გამოყენებას და გაუფრთხილდებოდნენ ჩვენი სახელოვანი ჩემპიონების იმიჯს. სამწუხაროდ, პატიოსანი თამაშის ეს წესი დაარღვია სწორედ იმ პოლიტიკურმა პარტიამ, რომელიც თავის დროზე ხელს უწყობდა და ამკვიდრებდა სპორტში უცერემონიო, ზოგიერთ შემთხვევაში კი — ძალისმიერი ჩარევის პრაქტიკას.

როგორც მედიაში გავრცელებული ვიდეოკადრებით ირკვევა, ამ დღეებში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში შეხვდა ჩვენს სახელოვან ოლიმპიურ ჩემპიონს ვლადიმერ ხინჩეგაშვილს. ასევე ირკვევა, რომ ეს არ მომხდარა თავად სპორტსმენის ინიციატივით და სურვილით. ამგვარი „მასპინძლობა“ ქართული სპორტის გულშემატკივართა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ აღქმულ იქნა, როგორც მოქმედი წარმატებული სპორტსმენის საარჩევნო ბატალიებში ჩართვის უხეში მცდელობა, რასაც მოჰყვა სოციალურ ქსელში გავრცელებული შეურაცხმყოფელი გამონათქვამები, მათ შორის ვლადიმერ ხინჩეგაშვილის მისამართით. სეოკ-ი სინანულს გამოთქვამს მომხდარის გამო და მოუწოდებს სპორტის ქომაგებს, ჩვენს საზოგადოებას, თავი შეიკავონ ამგვარი ქმედებისგან, გაუფრთხილდნენ დიდი სპორტსმენის ღირსებას, რომელმაც რიო-დე-ჟანეიროში მოპოვებული ბრწყინვალე გამარჯვებით უსაზღვრო სიხარული მოუტანა თითოეულ ჩვენგანს“, — ნათქვამია საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის განცხადებაში.

ბადრი იაშვილი

◎ გამოცდის წინ

გურამ კაშია:

„ირლანდიაში დადებითი შედეგის ჩვენება შეგვიძლია“

საქართველოს ეროვნული ნაკრები ირლანდიასთან „ მუნდიალ — 2018“-ის შესარჩევი მატჩისთვის მზადებას განაგრძობს. ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურთან მოახლოებულ თამაშზე ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა გურამ კაშიამ ისაუბრა.

როგორც გურამმა განაცხადა, ირლანდია ძლიერი გუნდია, განსაკუთრებით ფიზიკურად, მაგრამ საქართველოს დადებითი შედეგის ჩვენება შეუძლია.

„ირლანდია სტაბილური გუნდია, რომელიც ძალისმიერ და კარგ ფეხბურთს თამაშობს. აქამდე რვაჯერ ვეთამაშეთ და, სამწუხაროდ, ჯერ მასთან ვერაფერს მივაღწიეთ, მაგრამ იმედი მაქვს, ახლა შევძლებთ დადებითი შედეგის ჩვენებას, რადგან ჩვენ ეს შეგვიძლია. როგორც ბოლო თამაში ჩავატარეთ ავსტრიის ნაკრებთან, განსაკუთრებით მეორე ტაიმი, ისე თუ ვითამაშებთ, მჯერა, ირლანდიაში შედეგი კარგი იქნება. ვფიქრობ, ირლანდია ფიზიკურად ძალიან ძლიერი გუნდია და ამაში არ უნდა ჩამოვრჩეთ, თუ წარმატება გვინდა. ტექნიკით შეიძლება ვაჯობოთ, მაგრამ საჰაერო დუელებსა და ფიზიკურ ორთაბრძოლებში ძალიან ძლიერები არიან. ამიტომ ასეთი ბრძოლები უნდა მოვუგოთ, რადგან პრობლემა შეიძლება სწორედ ასე შეგვიქმნან.

კარგია, რომ გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რადგან ისინი დადებით ენერგიას აწვდიან ნაკრებს. ეს იმ მხრივაცაა კარგი, რომ რაც უფრო ადრე დაიწყებ ნაკრებში თამაშს, გამოცდილებაც ადვილად მოდის. ამჟამად გვყავს ნიჭიერი მოთამაშეები, რომელთაც სწორედ გამოცდილება აკლიათ“, — დასძინა სფფ-ის ვებ-გვერდთან საუბრისას კაშიამ.

* * *

ვლადიმირ ვაისის გუნდმა ჩასვლისთანავე „მალაჰაიდ იუნაიტედის“ მოედანზე ივარჯიშა, თუმცა, არასრული შემადგენლობით. როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახური იტყობინება, ნაკრებს დღის ბოლოს შეუერთდნენ და, შესაბამისად, არ უვარჯიშიათ საბა კვირკველია, თორნიკე ოქრიაშვილი, გიორგი მაკარიძე და ლევან მჭედლიძე.

სხვა მხრივ „ჯვაროსანთა“ ბანაკში ყველაფერი რიგზეა და ნაკრებში მიწვეული ყველა ფეხბურთელიც ამ დროისთვის ჯანმრთელადაა.

შეგახსენებთ, რომ ირლანდიისა და საქართველოს ნაკრებთა მატჩი ხვალ დუბლინში „ავივა სთედიუმზე“ გაიმართება და ჩვენი დროით 22:45 საათზე დაიწყება.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

მამუკა გორგოძე:

„შეუტიე, სანამ შეგიტევენ“

ტოპ 14-ის ბოლო ორი ტურია ის მოედანზე საუკეთესოა და, რა თქმა უნდა, სიმბოლურ ნაკრებშიც ხვდება.

აქ მეორე მომენტიცაა — 32 წლის მორაგბე საუკეთესო თამაშებს ატარებს და მატჩის მოთამაშედ ასახელებენ. ფრანგული რაგბის გრანდებთან — „კლერმონთან“ და მის ყოფილ კლუბ „მონპელიესთან“. ემოციური გამოხმაურებების შემდეგ ვრცელდება ფრაგმენტები გორგოძის პრესკონფერენციიდან, რომელსაც ის „მონპელიესთან“ მატჩის შემდეგ დაესწრო.

გორგოძე ფიქრობს, რომ ამ ორი მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ გუნდმა სეზონი დაიწყო და იქვე აღნიშნავს, რომ „მონპელიეს“ წინააღმდეგ სათამაშოდ მუდამ განსაკუთრებული მონდომებით ემზადება:

„მონპელიე“ მუდამ იქნება ჩემს გულში. როდესაც იქ ჩავედი, რაგბის თამაში თითქმის არ ვიცოდი და მხოლოდ სამი წლის შემდეგ ვისწავლე რაღაცეები. ამ გუნდის წინააღმდეგ მუდამ განსაკუთრებული მონდომებით გავდივარ მოედანზე, თუმცა, ეს სიბრაზით არაა გამოწვეული. „მონპელიესთვის“ მუდამ განსაკუთრებით ვემზადები, რადგან ვიცი, რომ მის წინააღმდეგ თამაში ყოველთვის რთულია. მეტოქეს თამაშის დალაგების საშუალება არ მივეცით, პირველივე წუთებიდან წნეხის ქვეშ მოვაქციეთ, შევუტიეთ და ამან გაამართლა.

ქართულში არის ფრაზა — „შეუტიე, სანამ შეგიტევენ“ და მე ის მომწონს. ვფიქრობ, ამ ორი მოგების შემდეგ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ტულონისთვის“ სეზონი დაიწყო, მაგრამ ჩვენი საქმე თამაშია და არა ლაყბობა. მომდევნო შეხვედრის წაგების უფლება არ გვაქვს“.

გორგოძემ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე მესამედან მეორე ხაზში გადაინაცვლა, პოზიციაზე, სადაც თამაში არ ხიბლავს, თუმცა, სწორედ იქ იწყებოდა მისი კარიერა. „მონპელიესთან“ მისი შემოქმედებითი მხარე განსაკუთრებით მაღალი იყო. მამუკას მონდომების შემხედვარე, ჟურნალისტები აღფრთოვანებას ვერ მალავენ და თვით „მონპელიეს“ საიტზეც კი დაიწერა, რომ მამუკას ლიდერობით „ტულონმა“ მეტოქე სრულად დაჩაგრა რაქებსა და მოლებში. ამ ყველაფრის ფონზე ჟურნალისტებს ლოგიკურად უჩნდებათ კითხვა: გორგოძე „ტულონის“ ლიდერად იქცა? რაზეც „ბორჯღალოსანთა“ კაპიტანი პასუხობს, რომ გუნდში მრავლად არიან ლიდერები და ის ამაზე სულაც არ ფიქრობს:

„გუნდში ლიდერები მრავლად არიან. მე ფოკუსირებული ვარ ჩემს სამუშაოზე და გუნდის წარმატებაში საკუთარ როლზე. „ტულონში“ უდიდესი მორაგბეები თამაშობენ. მოგებული თამაშის შემდეგ ბევრი საუბარი არ მიყვარს, თუმცა, მინდა ვუთხრა იმ ადამიანებს, რომლებიც სეზონის სტარტზე ჩვენი წარუმატებლობებით ხარობდნენ: „ტულონი“ არ მომკვდარა და მისი მოშლა ასე მარტივად ვერ მოხდება. არის რაღაც დეტალები, რომლებსაც გაუმჯობესება სჭირდება, თუმცა, ასე იყო გასულ სეზონშიც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ახლა ის გუნდი აღარ ვართ, რაც შარშან ვიყავით და დასალაგებლად დრო გვჭირდება, მაგრამ ნელ-ნელა ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის“.

კობა კობახიძე

◎ სეზონის სტარტზე

შენგელია ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში გამოარჩიეს

შედეგიანად ჩატარებული ესპანეთის ჩემპიონატის პირველი ტურის შემდეგ თორნიკე შენგელიას გარჯა დაუფასდა. „ლაბორალ კუჩას“ ქართველი ლეგიონერი პირველი ტურის საუკეთესოთა შორის დაასახელეს. Eurobasket.com-მა სიმბოლური ათეული შეადგინა, სადაც თოკოს მე-7 ადგილი არგუნა.

შეგახსენებთ, რომ „ლიგა ენდესას“ (ესპანეთის უმაღლესი ლიგა) საწყის ტურში ბასკურმა კლუბმა სტუმრად „მონბუსს“ 92:76 სძლია, ქართველი ფორვარდის მაჩვენებლები კი შემდეგი იყო: 20 წუთი, 19 ქულა, 4 მოხსნა და 2 ჩაჭრა.

თორნიკემ 9-დან 7 ორქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, 3 პერსონალური ჯარიმა მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

თორნიკეს მარგი ქმედების კოეფიციენტი 22-ს გაუტოლდა და ის თანაგუნდელთაგან მხოლოდ ამერიკელ შეინ ლარკინს ჩამორჩა, რომლის მონაგარიც 19 ქულა, 6 მოხსნა, 8 პასი და 1 ჩაჭრა გახლდათ.

გასაკვირი არ ყოფილა, რომ სიმბოლურ ათეულში ლარკინიც მოხვდა და მას მე-6 პოზიცია ერგო, პირველი სამეული კი ასე დაკომპლექტდა: 1. ლუკა ზორიჩი („სევილია“) — 22 ქულა, 11 მოხსნა. 2. ანტე ტომიჩი („ბარსელონა“) — 13 ქულა, 11 მოხსნა. 3. ბოსტიან ნახბარი („სევილია“) — 30 ქულა.

ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ტურში არ უთამაშია „მორაბანკ ანდორას“, რომლის ღირსებასაც გიორგი შერმადინი და ბექა ბურჯანაძე იცავენ. ესპანეთის ჩემპიონატში 17 გუნდი ასპარეზობს, ანდორელებს კი საწყის ტურში დასვენება ერგოთ. მე-2 ტურში, რომელიც 6-7 ოქტომბერს შედგება, „ლაბორალ კუჩა“ „მურსიას“ უმასპინძლებს, „ანდორა“ კი „გრან კანარიას“ დაუხვდება.

ვიტალი ჯაფარიძე

„ტყვიას გავარდნამდე უნდა გაერიდო!..“

ანუ როგორ გადაიხადა ბეჟან ნამიჭეიშვილმა სოლიკო ხაბეიშვილის ვალი

პატარა, სულ ორმოცდაათგვერდიანი წიგნაკი მიდევს მაგიდაზე და ვკითხულობ... უკვე მეორედ. წიგნაკი კი არა სამადლობელია, ადრე, ათეული წლების წინათ გაცემული სიკეთის სამადლობელი. სიკეთეს კაცები აკეთებენ, სამადლობელსაც კაცები იხდიან გაწეული სიკეთისთვის. ვეძებე წიგნაკში, რა სიკეთე გაუკეთეს ბატონ ბეჟან ნამიჭეიშვილს – შესანიშნავ პროზაიკოსს, პუბლიცისტს, ლიტერატურის კრიტიკოსს, ქუთათურ კაცს, რომელმაც ყველაფრის ფასი იცის და, რაც მთავარია, კაცები და კაცობა არ ეშლება. მეორედ გადაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ სიკეთე თურმე ის ყოფილა, ახალგაზრდა აბიტურიენტის ნიჭი რომ დააფასეს და გული არ გაუტეხეს, წინ არ გადაეღობნენ და არჩეული მიზნის შესრულებაზე ხელი არ ჩააქნევინეს. ვინ იყო ეს ფარული სიკეთის ჩამდენი? – სოლიკო ხაბეიშვილი, იმჟამად ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივანი.

გავა წლები. ქალაქკომის პირველი მდივანი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხდება, შემდეგ... შემდეგ პატიმარი, უმძიმესი ბრალდებით – ვიღაცის ამბიციებსა და შურს შეწირული, თუ დამსახურებულად დასჯილი? შემდეგ კვლავ თავისუფლება, ხალხის სიყვარული და როგორც თავად ციხეში დაწერილ ერთ-ერთ ლექსს ამთავრებს

„როცა იშვი, ტყვია თოფის
პირში იდო,
შენ და შენი ბედი – ერთ
ლულაში იშვით“...

სოლიკო ხაბეიშვილი მოკლეს, გაწირეს. ამქვეყნად კი დარჩნენ ადამიანები, ვისაც მისი სჯეროდა, ვინც მისგან დავალებული იყო, ვისაც იგი უყვარდა თავისი პრინციპულობისთვის. დარჩნენ ისინი, ვისაც სძულდა, ვინც მტრობდა და ვინც მისი სიკვდილით საწადელს მიაღწია. დარჩა ციხეში დაწერილი უშესანიშნავესი ლექსები, რომელიც 1991 წელს გამომცემლობა „მერანმა“ გამოსცა – **„ციხის რვეული“**. მაშინ ამ ლექსებს თითო-ოროლა ადამიანი წაიკითხავს, ამათთაგან ზოგი გვერდით გადადებს, ზოგი ზერელედ გადაათვალიერებს, მაგრამ ბეჟან ნამიჭეიშვილი კი, როგორც პუბლიცისტსა და ლიტერატურის კრიტიკოსს შეჰფერის, შეაფასებს, დააფასებს და თავის წიგნებშიც შეიტანს პირუთვნელ აზრს – **„ის პოეტია და საკმაოდ კარგი პოეტი“**. ამას არ იტყვის მხოლოდ იმისთვის, რომ კარგი თქვას ამ ქვეყნიდან წასულ კაცზე, არ იტყვის იმის გამო, რომ მასთან „ვალშია“, არ იტყვის არც იმის გამო, რომ ხალხს შეახსენოს სოლიკო ხაბეიშვილი. იგი კაცია, და იტყვის სიმართლეს – სოლიკო ხაბეიშვილის პოეზიის შესახებ, ციხიდან გამოტანილი ლექსებადქცეული დარდებისა და ცხოვრებისეული ფილოსოფიის შესახებ. იტყვის და პატარა წიგნადაც გამოსცემს, რომლის შესახებაც ახლა გესაუბრებით. – **„ტყვიას გავარდნამდე უნდა გაერიდო!“**... (სოლიკო ხაბეიშვილი).



ერთ პატარა ლექსს მოვიყვან დასტურად იმისა, თუ რა ფილოსოფია და სევდაა ჩაქსოვილი სოლიკო ხაბეიშვილის ლექსებში და ბეჟან ნამიჭეიშვილს დავესესხები – **ხაბეიშვილი, ციხეში რომ ამ მჯდარიყო, ასეთ ლექსს ვერ დაწერდაო.**

„ფიჭვის როკზე ჩამომჯდარი
წკიპად,
თავს აწონებს ჩიტი
გოგო-ბიჭებს,
გულწითელავ, თუ არ ეძებ
ხიფათს,
ადამიანს მოერიდე, გირჩევ.
ლამაზია ტოტზე შენი როკვა
და გალობა, – განა მე არ
მესმის?
მაგრამ კაცს ხომ მანკად შური
მოჰყვა,
თუ აჯობე, არ დაგინდობს,
გესვრის...“

ეს ლექსი 1987 წელსაა დაწერილი.

* * *

ბეჟან ნამიჭეიშვილს ამ წიგნში, შესანიშნავი, სევდიანი სამადლობელი კრიტიკა-განხილვის შემდეგ, რომელიც „ციხის რვეულის“ ხელახლა წაკითხვის შემდეგ გაუკეთებია, პატარა მოგონებებიცა აქვს შეტანილი იმ პერიოდზე, როდესაც ქუთაისს სოლიკო ხაბეიშვილი თავკაცობდა. თავად ამბობს, წიგნში შესული მასალები მხატვრული ნაწარმოებებია და არა დოკუმენტურიო, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, ქუთათურთა ბრწყინვალე, შეუდარებელი იუმორის მქონე ხალხში ეს მართლაც მომხდარიყო. სიტყვის ოსტატია ბეჟან ნამიჭეიშვილი, ნაწაწინა წიგნაკის პირველ ნაწილში თუ უდიდესი სევდა აქვს ჩატეული ციხის ლექსების მიმოხილვისა, მეორე ნაწილს იმ ანეკდოტებად ქცეულ ამბებს უთმობს, რომელიც გაგახალისებს, რამდენიმე წამის წინ მოგვგვრილ სევდას მყისიერად გაგიქარვებს და მხიარულ ნოტზე ასრულებს იმ კაცის შესახებ თხრობას, რომლის ცხოვრებაც ტრაგიკულად წარიმართა და რომლის წინაშეც ვალი თავად ბეჟან ნამიჭეიშვილმა გადაიხადა..., მაგრამ განა რა ვალი ჰქონდა ისეთი, რომ ამ პატარა წიგნით ავეტირეთ და თანაც გავეხალისეთ?!

რას „გოუგებ“ ქუთაისლებს!..

მამუკა ვაშაკიძე

სანთელი

ნათელა, თეა, ვახტანგ დავითაიები, გოგიტა მახარაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, მეგობრის

დავით (ჯემალ) გაგუნაშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის დიდ ოჯახს.

ფრიდონ ინჯია ოჯახთან ერთად ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და სამძიმარს უცხადებს ბატონ ზაზა ჩიქოვანს მეუღლის, ქალბატონი

მანანა გაზდელიანის

გარდაცვალების გამო.

ქალბატონი მანანა გახლდათ უბადლო ქართველი მანდილოსანი, უაღრესად მოსიყვარულე დედა, ორი შვილისა და ოთხი შვილიშვილის ღირსეულად აღმზრდელი ქალბატონი.

ღმერთმა ზეციური სასუფეველი და ნათელი დაუმკვიდროს მის ლამაზ სულს.

მკვლელობა წალკაში

წალკის რაიონის სოფელ ტბეთში მეზობლებს შორის მომხდარი დაპირისპირება მკვლელობით დასრულდა.

32 წლის მამაკაცი ცივი იარაღით საკუთარ სახლში ორშაბათ ღამით მოკლეს.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცს სხეულზე 20-მდე ჭრილობა აქვს მიყენებული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით დაკავებულია 2 ეჭვმიტანილი. არსებული ცნობით, ერთ-ერთმა დაკავებულმა ახალგაზრდა მამაკაცს დანით მრავლობითი ჭრილობა მიაყენა. გამოძიება ამ დაკავებულის მიმართ განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა, მეორე დაკავებულის მიმართ კი ამავე საქმეზე გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ დაზიანების მუხლითაა დაწყებული.

აფეთქებას მსხვერპლი მოჰყვა

ხულოში კერძო პურის საცხობში საწვავის ავზის აფეთქებას 65 წლის მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

თვითმხილველების თქმით, ადგილზე დროულად მივიდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა, თუმცა მამაკაცის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიება 242-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ფეთქებად საშიშ საწარმოში ტექნიკური უსაფრთხოების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

აქტიური პროცესები ოქტომბერში

ოქტომბერში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 6-9, 13-26, 21-23, 28-31 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლოა ციკლონებისა და ქარიშხლების ჩამოყალიბება, ყველა სახეობის ავარიულობის გაძლიერება, სეისმოაქტივობის მატება და სოციალური დაძაბულობა.

მინიმუმის დღეებში, კერძოდ, 5, 12 და 25 ოქტომბერს შეიძლება გქონდეთ სისუსტე, გამოგეცალოთ ძალები. ამ დროს რეკომენდებულია დატვირთვის შემცირება და დასვენების დროის გაზრდა.

2016 წლის ოქტომბერში დაძაბული დღეები და საათებია: 6 (09-12), 8 (12-15), 9(05-08), 13 (08-11), 16 (06-09), 22 (20-23), 28 (13-15), 30 (20-23).

6. მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მთვარისა და სატურნის შეერთება. დიდია თირკმლების, ღვიძლის, სისხლის, სისხლძარღვების, საჯდომის ნერვის დაავადებათა, ასევე სახსრების ტკივილების წარმოშობის ალბათობა. არსებობს უბედური შემთხვევებისა და კიდურების მოტეხილობების რისკი. მოერიდეთ თეძოების არის გაციებას, უარი თქვით ალკოჰოლისა და მძიმე საკვების მიღებაზე, სიმძიმეების აწევაზე.

8. თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარისა და მარსის შეერთება. გამორიცხული არ არის გაციება, თავის ტკივილებისა და სახსრებში ანთებითი პროცესების დაწყება, ასევე კანთან და ნაღვლის ბუშტთან პრობლემების წარმოშობა. არსებობს ტრავმატიზმისა და მოტეხილობების საფრთხე, აუცილებელია გამოირიცხოს სიმძიმეების გადატანა, ინტენსიური ფიზიკური დატვირთვა, საჭიროა გაუფრთხილდეთ ხერხემალს, მუხლებს, კბილებსა და დამწვრობებს.



9. თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარისა და პლუტონის შეერთება. მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის მომატება, იზრდება ორგანიზმის აქტივობა, მატულობს იმუნიტეტი. მაგრამ ასევე შესაძლოა არტერიული წნევის ნახტომისებრი მატება, თავის ტკივილები, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, ძვლებისა და სახსრების ტკივილი, საშარდე გზების დაავადებები. მოერიდეთ გაცივებას, მძიმე ფიზიკურ დატვირთვას, გაუფრთხილდით ხერხემალსა და მუხლებს.

13. თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ნეპტუნის შეერთება. მატულობს ტრავმასაშიშ ვითარებათა წარმოშობის ალბათობა, ღვიძლთან დაკავშირებული პრობლემები, ინფექციური და კანის დაავადებები, ასევე შეშუპებების, ტერფებისა და წელის ტკივილი. სასარგებლოა წყლის პროცედურები, სუფთა ჰაერზე სეირნობა. სასურველია სპირტიანი სასმელებისა და ყავის სმისგან თავის შეკავება, დიეტის დაცვა.

16. ვერძის თანავარსკვლავედში მთვარისა და ურანის შეერთება. სავსემთვარეობა, მთვარის პერიგეი. მოსალოდნელია ამინდის შეცვლა. დიდია ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრების, არტერიული წნევის ნახტომისებრ ცვლილებათა, გულის შეტევების, თავის ტკივილებისა და თავბრუსხვევის, უძილობის, თავის, სახის, თვალების, ყურებისა და სმენის ორგანოთა სნეულებათა ალბათობა. თავი კარგად რომ იგრძნოთ, დროულად დაისვენეთ და კარგად გამოიძინეთ. რეკომენდებულია უარი თქვათ ყავაზე, შოკოლადსა და ალკოჰოლზე, მოერიდეთ სტრესებს, კონფლიქტებს, გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვას, ტრავმატიზმს, ჭრილობებსა და დამწვრობებს.

22. მთვარის ბოლო მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება. მიმდინარეობს ორგანიზმში ყველა პროცესის შენელება. დიდია გულის, სისხლძარღვთა, ზურგის დაავადებების, უძილობის, რადიკულიტის ალბათობა. თავი მოარიდეთ სიმძიმეების აწევას, გონებრივ და ფიზიკურ დატვირთვებს.

28. სასწორის თანავარსკვლავედში მთვარის იუპიტერთან შეერთება. შეიძლება წარმოიშვას ან გამძაფრდეს თირკმლების, შარდის ბუშტის და კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებები, დაიწყოს რადიკულიტი და თავის ტკივილები. საჭიროა თეძოების არის გაციების მორიდება. დაიცავით დიეტა, უარი თქვით ცხარე, მარილიანი და ცხიმიანი საკვების მიღებაზე. შეზღუდეთ ტკბილეული და ალკოჰოლი.

30. ახალმთვარეობა. მოსალდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება. საჭიროა გაუფრთხილდეთ სასქესო ორგანოებს, საშარდე გზებსა და სწორ ნაწლავს. შესაძლოა, ბუასილის გამძაფრება, მოერიდეთ ანთებებსა და ინფექციებს, უარი თქვით ალკოჰოლზე, ცხარე და ცხიმიან საკვებზე.

პრემიერა მოძრაობის თეატრში



2016 წლის 8 ოქტომბერს, მოძრაობის თეატრის დაბადების დღეზე, 20:00 საათზე, მოძრაობის თეატრში შექსპირის „ქარიშხალი“ გაცოცხლდება სამგანზომილებიანი პროექციისა და მულტიპლიკაციის გამოყენებით.

შექსპირის ბოლო პიესა გათამაშდება უსიტყვოდ საჰაერო აკრობატიკის, ფიზიკური თეატრისა და საბრძოლო ხელოვნების ელემენტების გამოყენებით.

ამ სპექტაკლით მოძრაობის თეატრი ეხმაურება შექსპირის საიუბილეო წელიწადს.

სპექტაკლი განხორციელდა რეჟისორ იოსებ ბაკურაძის მიერ. სპექტაკლში მონაწილეობენ მოძრაობის თეატრის მსახიობები — ანა თალაკვაძე, ლაშა რობაქიძე, ბექა პაიკიძე, ელიზბარ ჩხეიძე, ლევან ქარჩილაძე, სალომე ქავთარაძე, ნიკოლოზ გოგიძე, უჩა მჟავია. სპეციალურად ამ სპექტაკლისთვის შეიქმნა ორიგინალური მუსიკა თეატრის კომპოზიტორის სანდრო ნიკოლაძის მიერ.

◎ ინტერნეტიდან

პრეტენზიული ალისა ბრეგოლი

ვეტერანი იტალიელი მეგოლე ალბერტო ჯილარდინო ვითომ ვისზე ნაკლებია ბიჭია, ცნობილ ფეხბურთელებს რომ ჩამორჩეს? თუკი მოქმედ ფეხბურთელებს ჰყავთ მოდელი და ტანკენარი ცოლები, არც სენიორ ალბერტოა სხვაზე ნაკლები. ჯილარდინოს მეუღლე მოდელი ალისა ბრეგოლია, რომელმაც ყოფილ ფეხბურთელს უკვე ორი შვილი გაუჩინა.

ალისა ბრეგოლი ერთობ პრეტენზიული ქალიც ყოფილა. როგორც იტალიელი ჟურნალისტები ირწმუნებიან, ჯილარდონოსა და მისი ცოლის მთელი შემოსავალი ფუფუნების საგნებისა და ძვირად ღირებული სახლებისა და ავტომობილების შეძენას ხმარდება.

ცოტა ხნის წინათ, ჯილარდინომ რომის ყველაზე მდიდრულ და პრესტიჟულ უბანში, ვასართულიანი ვილა შეიძინა, რომლის ღირებულებასაც ჯილარდინოები რატომღაც არ ამხელენ, სახლი კი სახლად ნამდვილად არ დაიწუნება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ანეკდოტები

— **ტელევიზორით** ახალ ამბებს თუ უყურებ, ძამიკო?

— არა, ჩემო კარგო. ვგონებ, პირველი რამდენიმე სეზონი გამოვტოვე და ახლა არაფერი არ მესმის!

* * *

გზად კინოთეატრში, ცოლქმარმა წყვილმა ბრმა მათხოვარს ქუდში ცოტაოდენი ფული ჩაუყარა და დიდად გაოცებული დარჩა, როცა ის „თვალისჩინდაკარგული“ აფერისტი დარბაზში გვერდით მიუჯდა. თუმცა საზრიანი ეშმაკი კაცი არ დაიბნა, ხელების ფათური დაიწყო და მათ მიმართა:

— მაპატიეთ, ხალხო, ეს ავტობუსი ნამდვილად ცენტრისკენ მიდის? ხომ არ შემეშალა?

* * *

— **სამწუხაროა**, მაგრამ თქვენ ცოფი გჭირთ, — უთხრა ექიმმა მაწანწალა ძაღლის დაკბენილ პაციენტს, რომელიც სამკურნალოდ დიდი ხნის დაგვიანებით მივიდა.

— სასწრაფოდ მომეცით კალმისტარი და ფურცელი! — სთხოვა პაციენტმა ექიმს და აჩქარებულად რაღაცის წერა დაიწყო.

— რაო, ანდერძს წერთ? — ჰკითხა ექიმმა, — ნუ გეშინიათ, გიმკურნალებთ.

— ანდერძს კი არა, ექიმო, დასაკბენი ხალხის სიას ვადგენ!

* * *

ძმრის ძებნაში ოდესელმა ცოლმა უბნის ყველა ლუდხანა მოიარა და, როგორც იქნა, მიაგნო მას. ცოლის დანახვაზე ქმარი ფეხზე გაჭირვებით წამოდგა, ხელი მოხვია მას და ეუბნება:

— დაგაგვიანდა, ჩემო კარგო, ესენი უკვე იკეტებიან. უმჯობესია, სახლში წავიდეთ!

* * *

მეუღლეების დიალოგი ქალის ფეხსაცმლის მაღაზიასთან:

— მე აი ამას გირჩევ, ძვირფასო, ურჩევს ქმარი.

— რას ამბობ, ასეთ ფეხსაცმელს არავინ იცვამს!

— მაშინ, ამას გირჩევდი.

— შენ რა, გაგიჟდი?! ასეთი ხომ ყველას აცვია!

გადამდები მთქნარება



ბევრი ჩვენგანი, ალბათ, ერთხელ მაინც დაფიქრებულა თვალის ერთი გადავლებით თითქოს უმნიშვნელო საკითხზე — რატომაა მთქნარება გადამდები?

ამასთან დაკავშირებით ფსიქოლოგები აცხადებენ, რომ მთქნარება დაძინების წინა მდგომარეობას უსწრებს, რომელიც გადაღლას მოსდევს. მაგალითად, ხანგრძლივი თათბირის დროს, როცა დიდხანს ერთსა და იგივე თემას განიხილავენ, ადამიანები ერთმანეთთან კონტაქტში ქვეცნობიერად შედიან, რა დროსაც მეტყველების ტემპი, სუნთქვის რიტმი ერთნაირი ხდება. ამის შედეგად ისინი ერთმანეთის მიბაძვას იწყებენ, რაც მსგავსი პოზების, ჟესტებისა და, მათ შორის, მთქნარების გამეორებას იწყებენ.

იგივე ხდება სხვა ხალხმრავალ ადგილებში, ვთქვათ, საზოგადოებრივ ტრანსპორტში — ამ დროს ხელსაწყოებიც კი თავის ტვინის ერთნაირ ენერგომიმოცვლას აფიქსირებენ. ამიტომაცაა, რომ **უმჯობესია, ავტომანქანაში, მძღოლის გვერდით წინა დასაჯდომზე არ დაიძინოთ, რადგან ეს მდგომარეობა მასაც შეიძლება „გადაედოს“ და ჩაეძინოს.**

კიბორჩხალების „სამსახური“



სანკტ-პეტერბურგის წყალარინების (კანალიზაციის) სისტემის ნაგებობათა ხარისხს ... კიბორჩხილები ამოწმებენ.

წყლის მონიტორინგი, გაწმენდის ციკლის გავლის შემდეგ, სახსარფეხიანებს აქვს დაკისრებული. შემოდგომაზე და ზამთარში „სამსახურში“ არიან ადგილობრივი მდინარეების ბინადარი კიბორჩხალები, ზაფხულის დადგომამდე კი მათ სითბოს მოყვარული ავსტრალიური „თანამოძმეები“ ცვლიან.

მაისის მიწურულს „სამსახურს“ ექვსი ავსტრალიური კიბორჩხალა შეუდგა — სწორედ ამდენია საჭირო ობიექტური სამეცნიერო მონაცემების მისაღებად, რომელთა მოსაპოვებლად ცხოველის ჯავშანზე მინიატიურული გადამცემი მაგრდება.

საგულისხმოა, რომ „სამუშაოდ აჰყავთ“ მხოლოდ მამრები, რადგან ისინი უფრო სტრესგამძლენი და მდგრადები არიან.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკანალიზაციო წყლებს ყოველდღიურად ლაბორატორიულადაც ამოწმებენ.

ისევ ის სჯობს, რაც ბუნებრივია

საღი კბილები, როგორც ცნობილია, ჯანმრთელობის უწინარესი საწინდარია. სამწუხაროდ, ბოლო წლებში მედიკოსები განგაშს ტეხენ იმის თაობაზე, რომ კბილების კარიესი, ხშირ შემთხვევაში, სულ პატარა ასაკიდან იჩენს თავს.

ამის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი... წვენები ყოფილა, რომელთა ბავშვებისთვის მიცემა საერთოდ არ შეიძლება. წვენები ძალიან დიდი ოდენობით შაქარს და ხილის მჟავებს შეიცავენ, პატარების კბილების მინანქარი კი მათ მიმართ ძალიან მგრძნობიარეა. სამწუხაროდ, პედიატრები ჩვილებისთვის წვენების მიცემის უფლებას მშობლებს უკვე 4 თვის ასაკიდან აძლევენ, რაც დაუშვებელია.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სპეციალისტები კი ამის თაობაზე აცხადებენ, რომ რაც უფრო გვიანი ასაკიდან დაალევინებთ თქვენს პატარას წვენებს, მით უკეთესია. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს დამატებით კვება სჭირდება, უმჯობესია, მას ფაფები, პიურეები, ადაპტირებული რძე, უშაქრო წყალი მისცეთ. ძალიან კარგი იქნება, რომ ეს საწოვარას გარეშე გააკეთოთ, რომლის მეშვეობით პირში არასაჭირო ბაქტერიები ხვდება და საჭმელს გემოსაც უცვლის. საქმე ის არის, რომ როცა ბავშვი საწოვარას ეჩევა, იგი ძუძუს ჭამაზე უარს ამბობს და შემდგომ ცხოვრებაში ყბებით ისე აქტიურად აღარასდროს იმუშავებს, როგორც ამას ძუძუს წოვისას აკეთებს. არადა ამ პროცესს ყბა-სახის ჩამოყალიბებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოჩულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.3297; ევრო - 2.6037;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.0226;
100 რუბლი - 3.6790; თურქული ლირა - 0.7752;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4193;
1000 სომხური დრამი - 4.9150.

ამინდი 5 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +8,	დღე +27
მთიანი რაიონები -	ღამე +3,	დღე +26
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +11,	დღე +29
მთიანი რაიონები -	ღამე +5,	დღე +28
თბილისი:	ღამე +12,	დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE